კანონი „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2006 წლის 25 მაისს. იგი ძალაში შევიდა 9 ივნისს ისე, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობდა. ასე თქვეს, – ჯერ კანონი მივიღოთ და სტატისტიკა მერე ვაწარმოოთო. რომ არ ყოფილიყო ფაქტები? გამოიგონებდნენ! თვით უინსტონ ჩერჩილის განმარტებით, არსებობს ოფიციალური სტასტიტიკა, ტყუილი სტატისტიკა და ძალზე ტყუილი სტატისტიკა... ჰოდა, ჩვენ ესეც ავიტანეთ.

კერძოდ, 2005 წლის 1 აგვისტოდან 2006 წლის 1 იანვრამდე საპატრულო პოლიციამ დაადგინა ოჯახური ძალადობის 1466 შემთხვევა. პოლიციამ ეს კონფლიქტები განმუხტა, მაგრამ ვერც ერთი მოძალადე ვერ დასაჯა. არც კანონი იყო და არც ფაქტები. ისეთი, რომ ვინმესთვის თავი ციხეში გვეკრა. კამათი ყველა ოჯახშია, უმეტესობა კი ეხება არა ოჯახში პირველობას, დომინანტობას, არამედ გაჭირვებას, შიმშილობას, ჩაუცმელობას, შვილების მიუხედაობას, ნათესავების უყურადღებობას. წადი ახლა და, ამ მიზეზით მოჩხუბარ ცოლ-ქმარს სასამართლოში შეკაბათებულმა შვილმა მამას იარალი მოუღერა. იქ ახლობლებმა გააშველეს. მამა შინ ადრე წავიდა, სანადირო თოფი გაამზადა და შვილს დაელოდა. როგორც კი გოგიტამ სახლის ზღურგლს გადააბიჯა, მამამ ესროლა. სროლაზე გვერდითი ოთახიდან დედა გამოვარდა. როცა დაჭრილი შვილი დაინახა, ძმარს ეცა და მიაწყევლა. განრისხებულმა ლუკამ ცოლიც და შვილიც თოფის კონდახით სიცოცხლეს გამოასალმა.

ტრაგიკული ამბავია, მაგრამ... გოგიტა სამჯერ იყო ნასამართლევი. გოლეს ყაჩაღობისთვის ივლდა. ორი წლის წინათ გამოუშვეს, თუმცა, ძველებურ ცხოვრებას აგრძელებდა. ამას მამა უშლიდა, ამიტომ ოჯახიდან ხშირად ჩხუბი ისმოდა. აი, გოლო ჩხუბი კი – სისხლისღვრით დამთავრდა, ფაქტობრივად, ოჯახი განადგურდა. რა უნდა ვუწოდოთ მსგავს ფაქტს, ოჯახური ძალადობა? რა სურდა მამას – ოჯახში პირველობა, გატრენოვა თუ ამ ოჯახში წესრიგის, სიმშვიდის დამყარება? მას პატიოსან, მშრომელ კაცად იცნობდნენ, არადა, თავიც დაილუპა და ოჯახიც ამოწყვიტა...

ქართველებს ოჯახის, ოჯახის წევრების პატივისცემა ოდითგან მოგვდევს. ახალმა ცხოვრებამ ისე არ უნდა გადაგვაგვაროს, რომ ამ ტრადიციას ზედგადავუაროთ და შინაურებს, თუნდაც გაჭირვების გამო, ლაწა-ლუწი ავუტეხოთ. ისიც სათქმელია, რომ გუზისგან სპილო არ უნდა გამოვიყვანოთ და ყოველი პატარა წაკამათება ოჯახურ ძალადობად არ უნდა მოვნათლოთ. ტყუილი, მით უმეტეს, ძალზე ტყუილი სტასტიტიკა ჩვენი ოჯახის იმიჯს ძირს დასცემს და მთელს ერს სახელს გაუტეხს. ეს გვინდა?

გონდო გულიაშვილი

◎ საით მივდივართ?

სიკვდილის წყურვილი

იმდენი იხტუნა ადამიანმა, რომ შიდსი წამოიკიდა და საკუთარი სიცოცხლე უფსკრულის პირას დააყენა. ახლა მნიშვნელოვანი აღარა აქვს იმას, თუ იგი პირველად სად გაჩნდა, ან რისგან გაჩნდა. მთავარია, რომ ეს სასიკვდილო სენი მთელს მსოფლიოს მოედო და მოედო უმეტესწილად თვით ადამიანის ხელშეწყობით, – ფეხბურთელი ოლიმპიადით, უზნეობით...

საერთო ჭაობში, ცხადია, ჩათრეული ვართ ქართველებიც. 2006 წლის მაისისთვის ჩვენში დაინფიცირებული იყო 982 კაცი, ივნისისთვის კი – უკვე 1.128. 2005 წლის პირველ ნახევარში აღირიცხა შიდსის 76 ახალი შემთხვევა, 2006 წლის ამავე პერიოდში კი – 148. რას ვშვრებით, ხალხო, აზრზე ვართ?

ვიცით, შიდსი შეიძლება შეეყაროს პატიოსან, კეთილსინდისიერ ახალგაზრდასაც და უმწიკვლო, უმანკო ბავშვსაც. ზოგი ავადდება მშობლებისგან, ზოგი – სისხლის გადასხმისგან. მაგრამ ასეთი ფაქტები იშვიათია, სულ რაღაც 3-4 პროცენტია. დანარჩენი, იცით, რით მოდის? 96-97 პროცენტი დაავადდა ნარკოტიკებით, გაუკუღმართებული სქესობრივი აქტებით.

ასე როგორ გადავგვარდით, ასე როგორ გავცხოველდით, რომ ზოგიერთი „აკრძალული ხილის“ აუცილებელი დაგემოვნების გამო მთელი სიცოცხლე სასწორზე დავდეთ, მომავალი თაობაც კი გავწირეთ? არა, იძნებ ბევრი შიდსიანი თავად გუნებაზე დაალალტა, რაღაც უხიაკი თვისებები გამოააყოლა, მაგრამ ვინც ჯანსაღია, ვინც ნორმალურია და ძალით იკლავს თავს?

არაოფიციალურად, საქართველოში 250-300 ათასი ნარკომანია. ერთი ამდენი, ალბათ, გაუკუღმართებული სქესის ტრფიალია და თუ ყველა მათგანი შიდსის გზას გაუდგა, შეიძლება სულ მალე მთელი ერი დასნებოვნდეს. მატების ტემპი ისეთია, ქვეყანა უკვე ფეხზე უნდა იდგეს, მაგრამ... მოგცლია ერთი!

გადრი ღვინიაშვილი

◎ მესამე ზედმეტი აღარაა



◎ სასამართლო

მძევალი „გაფცქვნეს“

გათუმელი ციური კაიკაციშვილის ძონება ძოგულეთელი გლადაძეების კლანისთვის იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ მისი სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად არ მოერიდნენ არც გატაცებას და არც ჩამორთმეული ძონების ძალით დაკანონებას. თუმცა გამდიდრებული მოქალაქეები „კანონიერმა მემკვიდრეობამ“ ვერ გადაარჩინა და ისინი ციხეში გაისტუმრა.

2002 წლის 23 ივნისს ზვიად, მანუჩარ, თენგიზ, ედუარდ გლადაძეები და კუკური ინაიშვილი პისტოლეტით შეიარაღებულები სახლში მიმავალ კაიკაციშვილს ძუჩაში დახვდნენ, მუძარით ხელზე გორკილები დაადეს და მანძანაში ჩასვეს. შემდეგ თვალებახვეული ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეს ტყეში წაიყვანეს. გზაში მას ხელჩანთა წაართვეს და ნადავლი გადაათვალიერეს. იქ მხოლოდ მობილური ტელეფონი, 20-ლარიანი მონოზარათი, ბინის და მანქანის გასაღები, მანქანის პასპორტი, 150 ლარი და 20 დოლარი აღმოჩნდა. ეს ყველაფერი კაიკაციშვილის ძონებასთან ზღვაში წვეთი იყო და გამტაცებლები ამან ვერ დააკმაყოფილა. ამიტომ ტყეში მისულები მოკვლის მუძარით აიძულებდნენ თავისი ბინა და მანქანა ედუარდ გლადაძის სახელზე გადაეფორმებინა. ვერ დაითანხმეს, რის შემდეგაც იძულებულნი გახდნენ, ახლობლის სახლში, სოფელ ძოგულეთში გადაეყვანათ. იქ უკვე ზეწოლის ხერხი შეცვალეს და წამების იარალს ცხელი უთოც მიუმატეს. სხეულზე გაჩენილმა რამდენიმე დამწვრობამ კაიკაციშვილს სანოტარო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერინა, რითაც გათუმის ბინას ედუარდის სახელზე აფორმებდა.

არც „მოგზაურობა“ და არც გამოძალვა ამით არ დამთავრებულა. ყაჩაღებმა ადგილის გამოცვლა გადაწყვიტეს და სოფელ ხუცუბანში გადავიდნენ. ახალ ადგილას ახალი ხელშეკრულებაც დაიდო და ახლა უკვე ბინას „ჯიპიც“ მიემატა. მადა ჭამაში მოდისო, სწორედ მათზეა ნათქვამი. წარმატებულმა მცდელობამ ისინი იმდენად გაახარბა, რომ კაიკაციშვილის ძვირფასეულის ხელში ჩაგდებაც გადაწყვიტეს, რომელიც მისი მამიდაშვილის სახლში ინახებოდა. თუმცა ეს უკვე ვეღარ განახორციელეს, რადგან 6 ივლისს ღამით მძევლმა გამტაცებელთა ყურადღების მოდუნებით ისარგებლა და გაიპარა. ღამე იქვე ახლოს მდებარე სახლის სხვენს შეაფარა, ორი დღის შემდეგ კი თბილისში წამოვიდა. ასე დასრულდა მისი ორკვირიანი მძევლობა.

2005 წლის 14 დეკემბერს აჭარის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გლადაძეებს განაჩენი გამოუტანა. თენგიზ და ედუარდს 8 წლით, ზვიადს – 5 წლით, მანუჩარს – 3 წლით, კუკური ინაიშვილს – 6 წლით პატიმრობა შეუფარდა. სამოქალაქო სარჩელით კი 323.600 დოლარის ანაზღაურება დაევალათ, საიდანაც 100 ათასი დოლარი მორალური ანაზღაურებისთვის დაეკისრათ.

ეს განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მათ მიმართ დანიშნული სასჯელი სამართლიანად მიიჩნია. რაც შეეხება სამოქალაქო სარჩელს, აქვეყრად გადაწყვეტილება მსჯავრდებულების სასარგებლოდ გადაწყდა და მორალური ზიანისთვის გადასახდელი 100 ათასი დოლარი 30 ათასი დოლარით შეიცვალა, რის შემდეგაც მათდა-ზარალებულისთვის 253 600 დოლარის გადახდა მოუწევთ.

ალბათ, 30 ათასი დოლარი არცისე გევრია 2-კვირიანი წამებისა და დამცირებისთვის, რადგანადამიანის თავის უფლების ხელყოფისთვის ნებისმიერი დამნაშავე უფრო მკაცრადაც შეიძლება დაისჯოს. თუმცა, ისიც საკითხავია, როგორ ან როდის „ამოილებს“ დაზარალებული ამთანხას ციხეში გამომწყვდეული ყაჩაღებისგან?

ლელა მანავლიშვილი

◎ ჟრუანტელი

სიკეთე სად დაკარგულა...

მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო მატულობს სურვილი ადამიანებისადმი ნებაყოფლობითი დახმარებისა. არაკომერციულ, ჭუმანიტარულ, საძველმოძმედო თუ სამართალდამცველ ორგანიზაციებში ჩაბმულია ჩრდილო ამერიკის მოსახლეობის 45, აფრიკის – 40, ხოლო ევროპის – 28 პროცენტი. ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს რუსეთს – 15 პროცენტი.

ხალხს ზღვაც ყლაპავს

1987 წლის 20 დეკემბერს ფილიპინების სანაპიროსთან ტანკერს შეასკდა სამგზავრო გემი „დონია პასი“. დაიღუპა 3132 კაცი; 1994 წლის 28 სექტემბერს გალტიის სანაპიროსთან ჩაიძირება „ესტონია“. დაიღუპა 913 კაცი; 2002 წლის 27 სექტემბერს გამგიის სანაპიროსთან ქარიშხალმა შთანთქა „ჯოლა“. დაიღუპა 975 კაცი; 2006 წლის 1 თებერვალს კი ეგვიპტის სანაპიროსთან გადატრიალდა „ალ სალამი“. დაილუპა 1414 კაცი.

სად ქრება ფული?

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ რესპონდენტთა 40-მა პროცენტმა ფული სულ ცოტა ერთხელ მაინც დაკარგა (ჯიბგირმა ამოაცალა, ან ქურდმა სახლიდან გაიტანა), 35-მა პროცენტმა – თავად „დათესა“, 6-მა პროცენტმა – საგულდაგულოდ გადაბალა და მერე ვეღარ გაიხსენა, 19-მა პროცენტმა კი დახეული კუპიურები ვეღარ გამოცვალა.

იყოს დახვრეტა!

რუსეთმა 1996 წელს შეაჩერა სიკვდილით დასჯა. და აი, 10 წლის შემდეგ, ფონდ „საზოგადოებრივი აზრის“ გამოკითხვით, მის აღდგენას მოითხოვს მოსახლეობის 75 პროცენტი. წინააღმდეგია – 15 პროცენტი. მხრებს იჩეჩავს – 10 პროცენტი.

თვალიც ალარ მოუკრავთ

იაპონიის პრემიერი ძონიჰირო კოიძუმი მარტოხელაა. მან ცოლი მოიყვანა 1978 წელს, როცა იძორწინა 21 წლის სტუდენტზე. 4 წლის შემდეგ გაშორდნენ. ორივე ბიჭი კოიძუმმა წამოიყვანა, მესამე კი, რომელიც ჩხუბის შემდეგ დაიბადა, დედამ გაზარდა. დაიჯერებთ? პირველი ორი ბიჭი ალარასოდეს უნახავს დედას, ხოლო მესამე – მამას.

გოგონები იმსხვერპლეს...

კანადაში დააკავეს ცოლ-ქმარი, – პოლ და კარლა ბერნარდოები, რომლებიც მოზარდ გოგონებს შინ იტყუებდნენ, ერთობლივად აუპატიურებდნენ და შემდეგ ცინიკურად კლავდნენ. ერთხელაც ქალს ნერვებმა უმტყუნა და ქმარი „ჩაუშვა“. მან პოლიციას ნივთმტკიცებად ვიდეოკასეტები ჩააბარა. კარლა ციხეში გაამწესეს 12 წლით, პოლი კი – 25 წლით. მათ ათამდე პატარა იმსხვერპლეს.

თვითონ ქალს რაღა?

განაში (დასავლეთ აფრიკაში) ქალთან წუთიერი სიამოვნება, თუნდაც იგი ყოველმხრივ თანახმა იყოს, შეიძლება დაგიჯდეთ 50 დოლარიც და ერთი ცხვარიც. ამ ჯარიმას აუცილებლად გადაუხდით ქვეყნის ბიუჯეტს, თუ თქვენი პარტნიორი... დაფეხმძიმდება.

აბა, რას იზამენ

ბოლო 15 წლის მანძილზე რუსეთიდან უცხოეთში გავიდა 25.000 მეცნიერი. გარდა ამისა, საზღვარგარეთ კონტრაქტით მუშაობს კიდევ 30.000 მეცნიერი. „ტვინების გადინების“ მთავარ მიზეზად ექსპერტები ასახელებენ მცირე ხელფასს, მეცნიერის სტატუსის დაბალ პრესტიჟს, ცუდ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას...

მინსკში ლატვიის საელჩოს თანამშრომლის მიმართ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელების გამო, გაანუცხადა ჟურნალისტებს გელორუსიის მთავარმა პროკურორმა ვასილ გოროდნიჩიმ.

„ლატვიის საელჩოს თანამშრომელს ჩამოართვეს პორნოგრაფიული მასალები, მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელების ფაქტის გამო“, – აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, დიპლომატი „უკვე კარგა ხანია ეწეოდა ასეთ საქმიანობას, მაგრამ მისი ვინაობის დადგენა ვერ ხერხდებოდა. ახლა იგი დაკავებულია“, – დასძინა ნაუმოვმა.

როგორც იტყობინებიან, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გელორუსიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაჩხრიკეს მინსკში ლატვიის საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომლის ბინა. „გელორუსიის ხელისუფლების ასეთი მოქმედება 1961 წლის ვენის კონვენციის უხეში დარღვევაა“, მიაჩნია ლატვიის მხარეს.

ახსნა-განმარტებებისათვის ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს გელორუსიის ელჩი. გარდა ამისა, ლატვიის საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ მოამზადა საპროტესტო ნოტა ამ ინციდენტთან დაკავშირებით.

როგორც ვარაუდობენ, სკანდალის აგორების საფუძველი შეიძლება იყოს ის, რომ ლატვია შედის გელორუსიის მთავარი „მტერი-მეზობლების“ ოთხეულში, რომლებიც გაერთიანდნენ ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. 2005 წლის აგვისტოში ყირიმში გაიმართა პოლონეთის, ლიტვის, ლატვიისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრების არაფორმალური შეხვედრა, რომლის მონაწილეებიც შეთანხმდნენ გელორუსიის მიმართ მოქმედების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

ოთხი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა მხარი დაუჭირეს ასევე „გელორუსულ ენაზე დამოუკიდებელი რადიო პროგრამის მომზადებას“ იდეას.

გელორუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროში აღიარეს მინსკში ლატვიელი დიპლომატის ბინის გაჩხრეკის ფაქტი, თუმცა აღნიშნეს, რომ მათ საამისოდ ჰქონდათ პროკურატურის სანქცია.

დანია – ბედნიერი ადამიანების სამშობლო

გრიტანეთის ლეისტერის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული ახალი გამოკვლევის თანახმად, დედამიწაზე ყველაზე გედნიერი ადამიანები, თურმე დანიელები ყოფილან.

„გედნიერების მსოფლიო რუკის“ სახელით განხორციელებული გამოკვლევის დროს გაითვალისწინეს ისეთი მაჩვენებლები, როგორიც არის ჯანმრთელობა, განათლება, თავისთავადობის გრძნობა და თვით ქვეყნების პეიზაჟების ესთეტიკური ხარისხიც კი.

მსოფლიოს 10 ყველაზე გედნიერი ქვეყანა: 1. დანია, 2. შვეიცარია, 3. ავსტრია, 4. ისლანდია, 5. გაჰამის კუნძულები, 6. ფინეთი, 7. შვედეთი, 8. გუტანი, 9. გრუნეი, 10. კანადა.

ათი ყველაზე გედნიერი ქვეყნის ნუსხაში, გამოკითხვის შედეგების თანახმად, შვიდი ადგილი დაიკავეს დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებულმა ქვეყნებმა.

აღსანიშნავია, რომ ევრეთ წოდებული „დიდი რვიანის“ წევრმა-სახელმწიფოებმა ისეთებმა, მაგალითად, როგორებიც არის შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიატნეთი და რუსეთი, ამ ნუსხაში შესაბამისად დაიკავეს 23-ე, 35-ე, 41-ე და 167-ე ადგილები. გამოკვლევის ფარგლებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოკითხეს 80 ათასზე მეტი კაცი.

მანამდეკი, ივლისის დამდეგს, გამოქვეყნდა კიდევ ერთი გამოკვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც გარიტანეთის New Economic Foundation ფონდმა შეადგინა ალტანტაზე „გედნიერების რეიტინგი“. გამოკითხვის დროს გაითვალისწინებული ძირითადი ფაქტორი: ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა, ცხოვრების დონით მათი კმაყოფილება და ეკოლოგია. მაშინდელი გამოკითხვის შედეგებით, ყველაზე გედნიერ ადამიანებად მიიჩნიეს წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფოს – ვანუატუს მცხოვრებლები. პირველ ათეულში კი მოხვდნენ ისეთი ქვეყნები, როგორიც არის: გვატემალა, სალვადორი, კოლუმბია, ჰონდურასი. საძმე ის არის, რომ ეს ქვეყნები დიდ ზიანს არ აყენებენ პლანეტის ეკოლოგიას, ადამიანები კმაყოფილნი არიან თავიანთი ცხოვრებით, თუმცა იქ სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი მაღალი არ არის

გაერო მოითხოვს საიდუმლო საპყრობილეების დახურვას

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ უნდა დახუროს „საიდუმლო საპყრობილეები“ და წითელი ჯვრის წარმომადგენლებს მისცეს ყველა იმ ადამიანთან ურთიერთობის შესაძლებლობა, რომლებიც შეიპყრეს შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამართალქმაგთა ორგანომ გამართა ორდღიანი მოსმენა, რომელზეც განიხილეს, თუ როგორ ასრულებს ვაშინგტონი ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს.

„საბჭო შეშფოთებულია არწმუნო ინფორმაციის გამო, რომლის მიხედვითაც შეერთებული შტატები მრავალი თვეებისა და წლების განმავლობაში მიმართავდა საიდუმლო საპყრობილეებში ადამიანების დაკავების პრაქტიკას, – ხაზგასმულია ორგანიზაციის მიერ მომზადებულ მოხსენებაში. – შეერთებულმა შტატებმა, როგორც საყოველთაო დეკლარაციის ხელმომწერმა სახელმწიფომ, დაუყოვნებლივ უნდა დახუროს ყველა საიდუმლო საპყრობილე“.

ამ გრძელ ხანებში ამერიკის ადმინისტრაცია სულ უფრო ხშირად მოუწოდებენ, რომ დახუროს გუანტანამოს ბაზაში არსებული საპყრობილე, სადაც ჰყავთ დაკავებული ტერორიზმში ეჭვმიტანილი 500-მდე პირი. მიმდინარე წლის ზაფხულის დამდეგს ევროსაბჭომ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობები დაადანაშაულა იმაში, რომ ისინი თანამშრომლობდნენ შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან პატიმრების ერთი ადგილიდან მეორეზე საიდუმლოდ გადაყვანის საქმეში.

ვაშინგტონი უარყოფს ადამიანის უფლებების დარღვევის გამო წაყენებულ ბრალდებებს და აცხადებს, რომ ტერორისტული ორგანიზაციების წევრობაში ეჭვმიტანილი პირები არიან არა სამხედრო ტყვეები, არამედ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მონაწილეები.

მაგრამ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ უარყო ვაშინგტონის მოსაზრება, რომ შეერთებული შტატების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ხელმოწერილი საერთაშორისო შეთანხმებები არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც სხვა ქვეყნებში მდებარე საპყრობილეებში იმყოფებიან.

მოხსენების ავტორები ასევე გამოთქვამენ შეშფოთებას იმის გამო, რომ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ამერიკელები საიდუმლო საპყრობილეებში იყენებენ დაკითხვის „ინტენსიური ტექნიკას“, რაც, სამართალქმაგთა აზრით, ფაქტობრივად წამებაა და სხვა არაფერი.

მოხსენებაში მოყვანილი დასკვნების პასუხად, ვაშინგტონმა განაცხადა, რომ მონაცემები, რომლებიც მან გადასცა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს, დოკუმენტის ავტორებს საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ.

„საბჭო კარგავს ავტორიტეტს, როცა უფრო მეტ დროს უთმობს შეერთებული შტატების კრიტიკას, ვიდრე იმ ქვეყნებისას, რომლებშიც საერთოდ არ არის დაცული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები“, – ხაზგასმულია შეერთებული შტატების მიერ გავრცელებული განცხადებაში.

ინფორმაცია

ცხოვრება მეათედით გაძვირდა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის მაისში, წინა წელთან შედარებით, ცხოვრება მეათედით გაძვირდა. სამომხმარებლო ფასების საერთო დონე ტრადიციულმა სეზონურმა ფაქტორმა განსაზღვრა, – განმარტავენ სტატისტიკის დეპარტამენტში.

სეზონურობიდან გამომდინარე მკვეთრად მერყეობს სასურსათო საქონლის ფასები. ფასები გაიზარდა ხორცზე და ხორცის ნაწარმზე – 5,4 პროცენტით (მათ შორის დაკლულ ქათამზე – 25,2 პროცენტით, ქათმის ბარკლებზე – 17,8 პროცენტით და საქონლის ხორცზე – 1,6 პროცენტით), თევზეულზე ფასი გაიზარდა – 11,5 პროცენტით, ყველი – 7,4 პროცენტით.

იანვარ-ივნისში სამომხმარებლო ფასები შემცირდა რძის ნაწარმზე და კვერცხის ჯგუფზე – 119 პროცენტით და ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე – 8,6 პროცენტით.

მიმდინარე წლის ივნისში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზზე ტარიფების გაძვირებასთან დაკავშირებით, სამომხმარებლო ფასები გაიზარდა საცხოვრებელი სახლის, წყლის, ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების ჯგუფებზე – 20,4 პროცენტით, სატრანსპორტო მომსახურებაზე – 4,0 პროცენტით, ჯანდაცვა გაძვირდა – 3,5 პროცენტით, ხოლო სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება – 3,6 პროცენტით.

მედიანიუსი

„ოჯახის ექიმი“ ქედაში

ქედის რაიონის სოფელ წრონიარისში ახალი პროგრამის „ოჯახის ექიმის“ განხორციელება დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ ვახტანგ სურგულაძემ განუცხადა, ქედის რაიონში პროგრამის მიხედვით პირველი ამბულატორული დაწესებულება იხსნება, სადაც გადამზადებაგავლილი „ოჯახი ექიმები“ იმუშავებენ.

სურგულაძის თქმით, ამბულატორიის შენობა ევროსტანდარტების შესაბამისია და იქ ყველა საჭირო აპარატურაა განთავსებული.

წელს აჭარასა და იმერეთში 30-მდე მსგავსი ამბულატორია გაიხსნება.

აეროპორტში ძებნილები დააკავეს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტზე მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასაზღვრო პოლიციაში განუცხადეს, დაკავების ოპერაცია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განხორციელდა. ერთერთი ძებნილი მესაზღვრეებმა „ათენი-თბილისის“, ხოლო მეორე „სტამბული-თბილისის“ რეისზე, სასაზღვრო-საბაჟო პუნქტ კონტროლის გავლის დროს განხორციელდა.

ინტერპრესნიუსი

ძორწინება

კიმის პირადი ცხოვრება აწყობილი აქვს

ჩრდილოეთ კორეას ახალი პირველი ლედი ჰყავს. ყოველ შემთხვევაში ასე იუწყება სამხრეთ კორეის მასმედია. საკუთარი პირადი ცხოვრების საძირკველს გამომზეურება დასავლეთის გევრ ლიდერსაც არ უყვარს, არამცთუ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაურებს. ამ ქვეყანაში გელადის პირად ცხოვრებაზე ტაბუა დადებული და ცნობები მის შესახებ მხოლოდ მოარული ხმების სახით ვრცელდება.

ამჯერად მათი გამავრცელებელი გახდა სამხრეთ კორეის საინფორმაციო სააგენტო მწტრფზ, რომელმაც განაცხადა, რომ კსდრ-ს ლიდერის მეგობარი ქალი მისი ყოფილი მდივანი გახდა.

„გავიგე, რომ კიმი ცხოვრობს ქალთან სახელად კიმოკი, რომელიც მისი მდივანი იყო მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ მისი მეუღლე კო ენ ხი გარდაიცვალა, – მოჰყავს სააგენტოს სამხრეთ კორეის მთავრობაში არსებული წყაროს სიყვარული – ის უფრო მიმზიდველი, საინტერესო ქალია, ვიდრე ლამაზი“, – ირწმუნება სამხრეთკორეული წყარო.

გელადის ცხოვრების თანამგზავრი ამჟამად 42 წლისაა (კიმ ჩენ ირი 20 წელზე მეტით უფროსია. მას მიღებული აქვს მუსიკალური განათლება – ფხენიანის მუსიკისა და ცეკვის ელიტარულ უნივერსიტეტში ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა. 80-აინი წლების დამდეგიდან იგი კიმ ჩენ ირის მდივანი გახდა.

2000 წელს ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის შემადგენლობაში იგი ვაშინგტონში ჩავიდა. კიმ ოკი ხშირად ახლავს კიმ ჩენ ირ სამხედრო ნაწილების მონახულებისას და უცხოელ სტუმრებთან შეხვედრებზე. ამბობენ, რომ ის კიმს იანვარში მისი ჩინეთში საიდუმლო ვიზიტის დროსაც ახლდა თან. როგორც ამბობენ, ჩინეთის ოფიციალურმა პირებმა (მათ შორის ხუ ცზინტაოომაძ ისე მიიღეს იგი, როგორც კიმ ჩენ ირის მეუღლე.

სხვათაშორის დასავლური სააგენტოები ირწმუნებიან, რომ ჩრდილოეთ კორეის გელადი არაერთხელ იყო დაქორწინებული. მისი პირველი ცოლი და გელადის სამი შვილიდან ორის დედა, კო ენ ხი შარშან წინ გარდაიცვალა ერთი წყაროს ცნობით, კიბოთი, მეორის ცნობით კი – გულის შეტევით. ხოლო 2002 წლის შემოდგომაზე სამხრეთკორეული გაზეთი „ჩუნან ალბო“ იუწყებოდა, რომ მოსკოვში წარუმატებელი მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა კიმ ჩენ ირის მეუღლე (ალბათ, უფრო საყვარელი, 1960-70-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი სონ ხე რიმ. როგორც ამბობენ, მსახიობთან განშორების შემდეგ კიმ ჩენ ირმა კიდევ ორჯერ იქორწინა.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №65

ისევ ხსოვნის ვარდი...

ჩაც ის უნდა გვეროდეს ხვალ...


Разовый пропуск № 3462
На „14" сентябрь 1955 г.
Тов. Маскаращвили В.Н.
Для входа в Дом художественного воспитания и технической пропаганды Закавказской железной дороги.
Пропуск без предъявления паспорта или удостоверения личности не действителен.





„კვირაძალის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ, „გვახსოვდეს თუ არ უნდა გვახსოვდეს“ მკითხველთა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ჩვენ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვინც საკუთარ პროგლემასავით გაიზიარა საქართველოში საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოების – „მემორიალის“ შესაძლო დახურვის საკითხი.

„ნუთუ ყველაფრის ნაწილ-ნაწილ გაყიდვის, საჭარო აუქციონებისა და ზარ-ზეიმების მილმა ალარაფერი უნდა გვახსოვდეს! ისტორიული მეხსიერება შეუვალია და მიუდგომელი. მას ვერ შეალამაზებ და ვერც ვერაფერს შეცვლი. ნუთუ მცირე თანადგომაც არ გვემეტება უსამართლობის მსხვერპლთათვის?“ – ასეთია გამოხმაურებათა ძირითადი პათოსი.

მართლაც, წარსული არ შეიძლება იყოს დროის მილმა მდგარი გაყინული სივრცე. გვსურს თუ არ გვსურს, ის ჩვენს აწმყოსა და მომავალშიც მონაწილეობს...

ცოცხალია? დახვრეტილია? რა დაავიწყებს ამ კითხვებზე ჩეკისტ ოგანეზოვის დამცინავ პასუხებს: „გახვრეტილია!..“

დრო ფაქტობრივად ვერაფერს აშუშებს, მაგრამ საზოგადოების და სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი მცირედი ყურადღებაც თანადგომას უდრის. ვფიქრობთ, ყოფილი პოლიტპატიმრებისა და მათი ოჯახებისთვის რეაბილიტაციის მუდმივი პროგრამა უნდა არსებობდეს და არა წარსულის მივიწყების მცდელობანი.

საზოგადოება „მემორიალის“ საცნობარო გამოცემაში ვკითხულობთ: „მემორიალს“ მნიშვნელოვანი ამოცანად მიაჩნია ყველა დახვრეტილის გამოვლენა, მათი სიების შედგენა და აგრძელებს ამ მიმართულებით კვლევას...

როგორც ბოლო ხანს ოფიციალურად დადასტურდა, 1937 წლიდან მოყოლებული, პატიმართა მნიშვნელოვანი ნაწილის გედი წყდებოდა სიოგრივად, უშუალოდ საკ. ატ (ბძ პოლიტბიუროს წევრთა ვიწრო წრის მიერ... სულ მოპოვებულია 383 ასეთი სია 45 000 ადამიანზე. სიების ის ნაწილი, საქართველოს რომ ეხება, მოიცავს 3000-მდე პიროვნებას...

არსებობს ცნობარი აკმოლინსკის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარ ქალებზე... ნაშრომი მოიცავს ცნობებს 18000 პატიმარზე, მათ შორის 400-მდე საქართველოდანაა...“

ეს არ არის აბსტრაქტული, მხოლოდ ქრონოლოგიური დრო და ციფრები. ეს ჩვენი გუშინდელი დღეა, წინაპრების აწმყოში გადმოსული ტკივილიანი მზერით...

ამ ადამიანთა გედი, არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია, თითქმის სრულიად გამოურკვეველი საგანია. ზედმიწევნით არ არის შესწავლილი ისტორიის ეტაპები“...

* * *

გამოხმაურებებისთვის კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით „კვირაძალის“ ერთგულ მკითხველთ... რა თქმა უნდა, იმათაც, ვინც გაზეთს ყურადღებით კითხულობს, მაგრამ იშვიათად ან სულ არ გვეხმიანება.

ჩვენ და თქვენ მღელვარე დროში გვიხდება ცხოვრება. გეთანხმებით, რომ ყველაფერი უნდა გვახსოვდეს, მიუხედავად იმისა, თუ როგორი მომავალი გველოდება ხვალ...

ნინო ხოფერია

„უნდა იზეიმოს ყველამ!“ – ასეთი იყო ბრძანება...

საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის იუბილემდე ერთი წლით ადრე ქართველმა თავადაზნაურობამ დამსახურებული ქართველი გენერლების წარმომადგენლობით ალაძრა საკითხი ამ, მათი აზრით, ღირსშესანიშნავი და სასიხარულო თარიღის აღსანიშნავად. რამდენიმე კრებაზე შემუშავებულ იქნა პროგრამები ტფილისში სამდღიანი ზეიმის მოწყობისა, აქ მდგარი ჯარების გამასპინძლებისა ღვინითა და პურმარილით (იუბილის დღისათვის მათი რიცხვი ნამეტნავად გაიზარდა), ძალაძისა და მისი შემოგარენის ილუმინირებისა, ტრიუმფალური არკების მოწყობისა. დაიგეგმა აგრეთვე რუსეთის შიდა გუბერნიების თავადაზნაურობის მეთაურთა და მინისტრთა მოწვევა, აგრეთვე კადეტურ კორპუსებში ქართველ გავაშვთათვის სტიპენდიების დანიშვნა საქართველოს ხარჯზე. რასაკვირველია, შეგნებული მცირე ნაწილი ქართველი თავადაზნაურებისა, ამ კრებების დამსწრე, ფარული ზიზღით უცქერდა ამგვარ დღესასწაულს საქართველოს რუსეთთან შეერთებისას, მაგრამ რამდენადაც არ გააჩნდა საშუალება თავისი უკმაყოფილების გამოხატვისა, დუმილით დაკმაყოფილდა.

დაბოლოს, დადგა საზეიმო დღეებიც – სექტემბრის 26, 27, 28 ნიკოლოზი დაბინა ძველი წრთობის ფელდფებელის, **თავად გოლიცინის მოხსენებამ,** გამოაცხადა რომ 26, 27 და 28 სექტემბერი **უნდა იზეიმოს ყველამ,** რათა შეძლებისდაგვარად მეტ ხალხს მოეყარა თავი ქუჩებში. გარდა ამისა სოფლის მამასახლისებს დაევალებინათ გრძანება, რათა თბილისში მოგროვილიყვნენ. რამდენიმე ახალგაზრდა თავქარიანმა ქართველმა თავადმა გაყიდა და დააგირავა მიწის უკანასკნელი ნაკვეთები, რათა ხარდიმა და ოქროთი მორთული თავიანთი ცხენებითურთ საპატიო ყარაულში გამწკრივებულიყვნენ. უნდა გენახათ, თუ რა ზიზღით უცქერდა ხალხი ქუჩებში მათ ცუნდრუკს. ქალაქის მუნიციპალიტეტის „მაამებლებმა“ მოაწყეს ტრიუმფალური არკები, რომელთაგან ერთი წარმოადგენდა საბრძოლოდ გამზადებულ რუსულ ციხე-სიმაგრეს, ხოლო მეორე – დანგრეულ ქართულ ციხე-კოშკს. ეს იყო გამოხატულება მონური ქვემძრომობისა და მლიქვნელობისა.

26 სექტემბერს, შუაღამისას ქუჩები, რომლებზედაც უნდა ჩამოევლოთ სტუმრებს, ხალხით აივსო. თუმც ამ ხალხის ნახევარი ჯარისკაცები, პოლიციელები და მოსწავლეები იყვნენ, ქუჩებზე გამწკრივებულნი. ხანგრძლივი და მოსაწყენი ლოდინი ზოგან სიცილ-ხარხარში და ხუმრობაში გადაიზარდა. ტრიუმფალურ არკებს საჩქაროდ აჭედებენ უკანასკნელ ჭრელ-ჭრელა მოსართავებს. ამ დროს მოიჭრება ცხენოსანი და დაიძახებს: „მოდიან“. სამუშაო შეჩერებულია, ჯარები „სმენაზე“ დგებიან, მოწაფეები ზლაზვნით იკავებენ თავიანთ ადგილებს, ხალხი ირევა, კისერს იგრძელებს და ხედავს: თავქუდმოგლეჯით მოქროს ფაეტონზე მდგარი პოლიციელი, ხელებს ასავსავებს და ხალხს ანიშნებს: „ურა“ დაიძახეთო. მაგრამ ხალხი დუმს. უფრო მეტიც: ვილაცამ დაუსტვინა, – ერთმა, მეორემ, მესამემ და საყოველთაო სტვენამ მოიცვა ქუჩები. სტუმრები დაიბნენ, აღარ იცოდნენ თავის დაკვრით ეპასუხათ ამგვარ „მისალმებაზე“ თუ არა. თუ ვინმე ყვიროდა „ურას“, ეს იყო ჯარი და პოლიცია. აი, ასეთი „აღტაცებული“ შეხვედრა გრძელდებოდა სამი დღე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულმა ლიბერალურმა ინტელიგენციამ, შემდეგნაირად გამოხატა თავისი პროტესტი: გადაწყვიტა არ გამოსულიყო სახლებიდან ზეიმის დღეებში და გამოეშვა პროკლამაცია, მიმართული ყველა ქართველისადმი, რაც ალასრულეს კიდეც, პროკლამაცია ქალზესუსტად იყო დაწერილი და შეიცავდა ზოგად მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ ქართველებს ჩაგრავს რუსეთის მთავრობა და ა. შ.

იუბილემდე ჟანდარმერიამ ნამდვილი საალყო მდგომარეობა გამოაცხადა, იგი ყარაულობდა ყველას, ვისაც კი ოდესმე ჰქონია მეთვალყურეობა, რათა ისინი სახლიდან არ გამოსულიყვნენ. დააპატიმრეს მუშები: გაბუა და ჯიბლაძე, ინტელიგენტები კალანდარიშვილი და წულუკიძე. 22 აპრილს დაპატიმრებული 41 მუშისა და სტუდენტის გარდა, უფრო ადრე დააპატიმრეს ძმები კალაძეები (ინტელიგენტები, მუშა გოგლიძე და რამდენიმე სხვა მუშა. დააპატიმრეს ჟორდანია. ჩხრეკები გრძელდება, შპიონების შტატი ფრიად გაიზარდა. 4 სექტემბრიდან დაწესებულმა გაძლიერებულმა დაცვამ არაფერი ახალი არ მოიტანა, ჩაგვრა მუდამ იყო – მანამდეც და მერეც. გაძლიერებული დაცვა – მხოლოდ და მხოლოდ თვალებში მტვრის შეყრაა მიმიტი ადამიანებისათვის...

იბ. 9 83.

დაზუსტება

„კვირაძალის“ წინა ნომერში პუბლიკაციაში „გვახსოვდეს თუ არ უნდა გვახსოვდეს“, მეხუთე სვეტის მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

„როდესაც ჯანაშიას მუზეუმში მესამე სართულზე ნაჩქარევ ექსპოზიციას „ოკუპაციის მუზეუმი“ ხსნიდნენ, „მემორიალშიც“ მოვიდნენ მათი წარმომადგენლები, მაგრამ ბოლოს ადარ გამოჩენილან. ეროვნული მუზეუმის დირექტორი ბატონი დავით ლორთქიფანიძე კი იცნობს ჩვენს საქმიანობას და პროექტს, და მუზეუმის გახსნაში დახმარებას გვპირდება...“

„უნდა იზეიმოს ყველამ!“ – ასეთი იყო ბრძანება...



(მერვე გვერდიდან)

ზემოთ მოთხრობილი ამბავი თან ახლდა პეტიციას, რომელიც ქართული საზოგადოების სახელით ეგზავნებოდა ბრეჟნევს და ედუარდ შევარდნაძეს.

* * *

მსურველებს შეგიძლიათ მოაწეროთ ხელი შემდეგი პეტიციის ტექსტზე თქვენი პროფესიის ან თანამდებობის ჩვენებით და გაგზავნოთ იგი შემდეგ ინსტანციებში:

სკკპ ცკ გენერალურ მდივანს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი . ბრეჟნევს.

სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს.

ვუერთებთ ჩვენს ხელმოწერებს ქართველი საზოგადოებრიობის 1980 წლის ივნისის წერილს, რომელიც მოითხოვს ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას და საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებას.

მოვითხოვთ ობიექტურ შეფასებას რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტისას ლენინური „ისკრის“ პოზიციის საფუძველზე და აქედან გამომდინარე გაუქმებას გეორგიევსკის ტრაქტატისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების 200 წლისთავის საუგილეო ზეიმისას.

მოვითხოვთ აკად. ივ. ჯავახიშვილის აკრძალული შრომების რეაბილიტაციას, რომლებშიც მხილებულია რუსეთის ცარიზმის დიდმპყრობელურ-კოლონიალური პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

თარიღი

ხელმოწერები

ამ ე. წ. პროკლამაციაში ათასობით ხელმოწერა დაფიქსირდა, მაგრამ არავინ იცის, მივიდა თუ არა დანიშნულების ადგილას.

ოფიციოზის ზეიმები კი დაუსრულებლად გრძელდებოდა.

ჩუსქოის „ადგაჯხვილი“ საქართველო

ივანე ჯავახიშვილის რომელ აკრძალულ ნაშრომებზეა საუბარი პროკლამაციაში, რომელსაც დღეს „კვირაქალში“ ვაქვეყნებთ, რისი დაფარვა სურდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას?

გთავაზობთ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კვლევის შედეგებს, რომელიც მოგვაწოდა გამომცემლობა „განათლების“ ყოფილმა თანამშრომელმა, ქალბატონმა ნინელი საბაშვილმა.

ეს მასალა გავრცელდა იმ დროს, როცა საბჭოთა საქართველო „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მილებას უპანასკნელად ზეიმობდა...

აკ. ივ. ჯავახიშვილის „ძართველი ერის ისტორიის“ V ტომში შედის მისი ნაშრომები: „დემოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ და „სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“. პირველი მათგანი გამოიცა თბილისში ჯერ კიდევ 1919 წელს, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში. წინასიტყვაობაში ავტორი წერდა, რომ წინათ, რუსეთში არსებული პოლიტიკური და საცენზურო პირობების სიმკაცრის გამო, იმ ისტორიკოსებს, რომელნიც წერდნენ ამ ეპოქაზე (ზ. ავალიშვილი, ვ. ხელთუფლიშვილი და სხვ.ძ, ისტორიული სიმართლის სრული სინათლეზე გამოტანა არ შეეძლოთ. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, – საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავისი ძველის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიცაა XVIII საუკუნე. ამნიდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულში-აც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისათვისაც ბევრი რამ საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“ (ეს გამოკვლევა V ტომში შევიდა საგრძნობი კუპიურებით.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის შრომას იწყებს XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ვითარების აღწერით, როდესაც ქართველი ერი უალრესს განსაცდელში იყო ჩავარდნილი, ხოლო რუსეთის დიპლომატია ცდილობდა დაერწმუნებინა ვახტანგ VI, თეიმურაზ I-ს და სურდა დახსნა საქართველოსი სპარს-ოსმალთა კლანჭებისაგან და გადარჩენა ქრისტიანობისა საქართველოში.

სინამდვილეში რუსეთს განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა აღმოსავლეთში და განსაკუთრებით, სპარსეთში, პეტრე I-ს სურდა, რუს ვაჭრებს ხელში ჩაეგდოთ სპარსეთის ვაჭრობა და მთელი აბრეშუმი სპარსეთიდან რუსეთში ყოფილიყო შეტანილი. სპარსეთის ეკონომიკური დაკაბალება რომ უფრო გაადვილებულიყო, პეტრემ გადაწყვიტა კასპიის ზღვის მიდამოებისა და ამიერკავკასიის დაპყრობა. ამის გამო მან გადაწყვიტა ვახტანგ VI და საქართველო რუსეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა თავის შორსგამიზნულ პოლიტიკურ თამაშში. „მეფე ვახტანგმა და ქართლის გავლენიანმა წრეებმა ეს დიპლომატიური ხრიკები სინამდვილედ მიიჩნიეს“, წერდა ივ. ჯავახიშვილი, „მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ძლიერ ქრისტიან ხელმწიფეს გულში სხვა რამ იდუმალი ზრახვა ეძინებოდა და ვახტანგ VI-ც დარწმუნებული იყო, რომ რა წამს იგი პეტრე I-სა და რუსთა ჯარს მიემხრობოდა, პეტრეც თავის მხრივ მისი მეთაურობით საქართველოს მტრის წინააღმდეგ გაილაშქრებდა.

საქართველოს განათლებული, მწიგნობარი მეფე-პოეტი ვახტანგ VI პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით არ გამოირჩეოდა. ამიტომ იგი გრამდე მიენდო ამ დიპლომატიურ ხრიკებს, 40-ათასიანი ჯარით გაილაშქრა სპარსეთზე, მაგრამ იგი ანაზდად მიატოვა განსაცდელში თავისმა „ძრისტეს მოყვარე“ მოკავშირეც და ჩრდილოეთისკენ დაიხია, ხოლო საქართველო გამაქვინვარეული პოლიტიკური კავშირის დამყარების შეუძლებლობას, ერეკლე დაყაბულდა გერმანელი მოგზაურის რაინეგსის რჩევას, რუსეთის თვითმპყრობელობისაგან ოფიციალურად ეთხოვა მფარველობა.

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, ეს მოგზაური რუსეთის საელჩოს მხედართმთავრის, ფელდმარშალ თავად პოტიომკინის სპეციალური საიდუმლო დავალებით მოძრაობდა. ხოლო პატიომკინს რაღაც შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა, ამას ჩვენ ძველთ დავინახავთ.

1783 წლის 24 ივლისს აღმ. საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულებას, ანუ ტრაქტატს, ხელი მოაწერეს. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია უფლებრივი დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის. მეექვსე მუხლში სახელდობრ, ნათქვამია, რომ „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ქართლისა, კახეთისა და საქართველოს სამეფოებზე უზენაესი ხელმწიფებისა და მფარველობის კეთილმოსურნეობით მიმღებ თვისი და თავის შთამომავლობის სახელით აღთქმასა სდებს: 1ძ. რომ ამ სამეფოთა ერნი მის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში ჩასთვალოს და მაშასადამე, მისი მტრები თავის მტრებად მიიჩნიოს“.

ამისდა მიხედვით რუსეთის ხელმწიფე თავის თავის და თავის შთამომავლების სახელით „უზაკველის აღთქმით“ აღთქმასა სდებს, რომ „მოწყალეება და მფარველობა მათი ქართლისა და კახეთის მეფეებს არასდროს არ ჩამოშორდებათ (ჯ2ძ.საქართველოს მეფეთა უფლება მემკვიდრეობით გადადიოდა, რუსეთის ხელმწიფე აღთქმასა სდებდა, რომ ერეკლე მეფე და მისი შთამომავლობა მუდამ, გაუწყვეტლივ სამეფო უფლებით მოსილი იქნებოდნენ (ჯ6ძ. საქართველოს სამეფო ტახტზე მისი მეფეები მემკვიდრეობის ძალით ადიან. დამოკიდებულება რუსეთის ხელმწიფესა და საქართველოს მეფეს შორის ამ მხრივ მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ მემკვიდრეობის უფლებით საქართველოს ტახტზე ახლად ასულს მეფეს უნდა ეცნობებინა, და თავის დესპანის პირით სანიშნებლად გამოეგზავნა სიგელით და სამეფო ნიშნები გამოეგზავნა დამტკიცება ეთხოვა. ამაებრივ მილებისთანავე მეფეს რუსეთის მინისტრის თანდასწრებით, რუსეთის სახელმწიფოს ერთგულებისა და გულმოდგინებისა, ხოლო სრულიად რუსეთის ხელმწიფეების **უზენაესი ხელმწიფების** და მფარველობის ცნობის აღთქმა უნდა დაედო (ჯ2ძ. სამეფოს შინაური საქმეების მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში, და უზენაეს მართლმსაჯულებაში, გადასახადების აკრეფაში საქართველოს მეფე სრულიად დამოუკიდებელი იყო (ჯ6ძ...

ამ ხელშეკრულების მიზანი საქართველოსთვის იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს მიწა-წყლისა, მეზობლებისა და მტრებისაგან დაცვა-დახმარებას კისრულობდა. ამისათვის მას ქართული ლაშქრისათვის მისაშველებლად აღმ. საქართველოში 2 სრული გასალიონი ქვეითობა, ოთხი ზარბაზნითურთ უნდა ჰყოლოდა (ცალკე არტიკ. ჯ2ძ. ეს მუხლი აღმ. საქართველოს მხრლოდ მაშინდელი საზღვრების ხელშეუხებლობას ეხებოდა“. შემდეგ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ერეკლეს მხოლოდ ამისთვის არ დაუდია ხელშეკრულება, იგი უფრო ფართო მიზნებს ისახავდა, კერძოდ, სრულიად საქართველოს აღდგენას, გაერთიანებას. აქვე აღნიშნულია, რომ საქართველო თავის მხრივ კისრულობდა რუსეთის სახელმწიფოსადმი დახმარებას, რუსეთის ქვეშევრდომებისადმი საქართველოში განსაკუთრებული მფარველობის გამოჩენას. აკად. ივ. ჯავახიშვილის აღნიშნავს სხვა მეცნიერთა მოსაზრებებს ტრაქტატის შესახებ და დასკვნის, რომ საერთო აღიარებით, ტრაქტატი იყო მოკავშირეობის, მფარველობის ხელშეკრულება. მას მოჰყავს ეკატერინე II-ს ბრძანებით დაწერილი საგუთი, სადაც აღნიშნულია, რომ „მისი უდიდებულესობის აზრი იყო, ქართველ მეფეებთან (ე. ი. ერეკლე II-სთან და სოლომონთან ძ დადებული-ყო **მოკავშირეობის ხელშეკრულება** ისე, რომ ისინი ქვეშევრდომებად კი არა, არამედ სრულიად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მყოფ **მოკავშირეებად** ყოფილიყვნენ წოდებულნი“.

მართლაც ხელშეკრულებაში არსად არ არის ხსენებაც კი საქართველოს მეფის და ქართველ მოქალაქეთა ქვეშევრდომობისა. რუსეთის ხელმწიფე პირადად და თავის შთამომავლობის მაგივრადაც აღთქმას დებს, საქართველო რუსეთის სახელმწიფოსთან „მჭიდრო კავშირში და სრულს თანასწორობაში მყოფად ჩათვალოს“ და მისი მტრები თავის მტრებად მიიჩნიოს. ამრიგად, ერეკლე მეფეც, სოლომონ მეფეც და მთავრებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს რუსეთთან ჰქონდა მხოლოდ „მფარველობა და კავშირი“.

„მაშასადამე, – დასკვნის ივ. ჯავახიშვილი, – 1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს „მფარველობითი მოკავშირეობის“ ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს, ვვერდი ავუაროთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ ზნედულებათა შორის არსებობს, 1783 წლის ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ“.

შემდეგ თავებში აკად. ივ. ჯავახიშვილი აღწერს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობის კატასტროფულ გაუარესებას ტრაქტატის დადების შემდეგ. გარეშე მტრების გააქტიურებას, რუსეთის მხრივ თავის მიერვე დადებულ ხელშეკრულების არად ჩაგდებას, რუსეთის მიერ მიტოვებული საქართველოს სავალალო მდგომარეობას, აღა-მაჰმად-ხანის მიერ საქართველოს აოხრებას, საქართველოს სამეფოს სრულ დამხობას და ბოლოს ანექსიას რუსეთის მიერ.

დიახ, საქართველო იმჟამად მართლაც ფიზიკური განადგურების პირას იყო მისული, მაგრამ ვინც დღეს წამდაუწუმ გაჰყვირის „საქართველო რუსეთმა იხსნა ფიზიკური განადგურებისაგანო“, მას ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამ განადგურების საფრთხე თავად რუსეთმა შეუქმნა საქართველოს თავისი ვერაგული და გაცემული პოლიტიკით (აღმ. საქართველოს მოსახლეობა 61 ათასი კომლიდან 35 ათას ზე დავიდაძ. ტრაქტატის მე-12 მუხლში ნათქვამია, რომ ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან შეცვლა მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით შეიძლებოდა. მაგრამ რუსეთის მომდევნო მეფეებმა პავლე I-მა და ალექსანდრე I-მა ტრაქტატი არათუ შეცვალეს მეორე მხარის უკითხავად, არამედ ს მაგა უქმეს. აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით, ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ტრაქტატი, გააუქმა მეფობა საქართველოში და მოახდინა მისი ანექსია, ფარისევლურად აცხადებდა ვითომც ეს აქტი მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის ძლიერი სურვილით ყოფილიყოს ნაკარნახევი. მაგრამ ლაპარაკს სიტყვებს მაინც არ შეეძლოთ გაექარწყლებინათ ის შთაგეფდილება, რომ რუსეთის მთავრობის საქციელი, შემაძრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი.

რაც შეეხება V ტომში შეს ულ ნაშრომს „სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში“ მეფის რუსეთის ცენზურის „სიმკაცრის“ მიუხედავად, მისი დაბეჭდვა მაინც მოხერხდა 1906 წელს. ოლონდ თანამედროვე ცენზურას უფრო მახვილი მზერა აღმოაჩნდა და ეს ნაშრომიც აიკრძალა 1954 წელს. აქ აღწერილია ქართველი ხალხის ბრძოლა თვითმპყრობელობისა და მეფის რუსეთის გიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც აურაცხელი გოროტება დათესა საქართველოში, მისი მოტყუებით დაპყრობის, ანუ „შეერთების“ შემდეგ, აქ აღწერილია და დახასიათებულია მითულეთის აჯანყება 1804 წლისა, კახეთში აჯანყება 1812 წლისა, იმერეთის აჯანყება 1820 წლისა, 1832 წლის შეთქმულება, სამეგრელოს აჯანყება 1856 წლისა, სიღნაღის მღელვარება 1878 წლისა. გურიის აჯანყება 1901-02 წლებისა. აქ ნაჩვენებია, რომ ქართველი ხალხი გულდალმკრავით რომ ვერ ვხედრია თავისი სახელმწიფოსა და ეკლესიის მოსპობას რუსეთის ცარიზმის მიერ. ხალხი და სამღვდელოება იბრძოდა თავისი უფლებებისათვის, თვითმპყრობელობა კი იარაღით ახშობდა უკმაყოფილების ყოველგვარ გამოვლინებას და მის ინიციატორებს სახრჩობელებზე და ციმბირში გზავნიდა. აი, ყოველივე ამის ოხიეთხრად გაშუქების გამო დღეს ზემოხსენებული ორივე ნაშრომი კანონგარეშეა გამოცხადებული.

ივ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომის აკრძალვა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც აშინებს ისტორიული სიმართლე, ვისაც განზრახული აქვს დუმილს ძართველ ხალხს ის მძიმე დანაშაულები, რომელნიც ჩაიდინა რუსეთის თვითმპყრობელობამ მის წინაშე, ვისაც განზრახული აქვს რეაბილიტაცია თვითმპყრობელობისა, ფალსიფიკაცია ისტორიისა: მოტყუებისა და ძალადობის „ძმობად“ და „მეგობრად“ წარმოსახვა, საქართველოს დაპყრობის გამოცხადება მის „ნებაყოფლობით შესვლად რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში“.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აფხაზთა ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ სააკაშვილი სოხუმის პროვოცირებას ცდილობს

აფხაზეთში ირონიით შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ აპირებს კოდორის ხეობაში გადაიყვანოს ამჟამად თბილისში მყოფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლები. თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესმდივანმა კრისტიან გუშანიამ ეს შეადარა ციმბირში გადასახლებას. „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სააკაშვილს სურს როგორმე მოიშოროს თავიდან ე. წ. „აფხაზეთის ავტონომიის მთავრობა“. მან აღნიშნა, რომ კოდორის ხეობაში გზები გახსნილია წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში, შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე კი იქ მისვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

გალის რაიონში აფხაზთა პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა რუსლან ძიშმარიამ, თავის მხრივ, განაცხადა: „ჩვენ ყოველთვის უარს ვამბობდით მოლაპარაკებაზე ე.წ. „აფხაზეთის დევნილ მთავრობასთან“, და არ ვმონაწილეობთ არც ერთ შეხვედრაში, რომელსაც მათი თუნდაც ერთი წარმომადგენელი მაინც ესწრებოდა“. ძიშმარიას თქმით, ასეთი განცხადებების გაკეთებით, სააკაშვილი ცდილობს პროვოკაციური გზით აიძულოს სოხუმი დაიწყოს სომარი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ.

REGNUM
ინფორმაციონ აგენტური

საინფორმაციო სააგენტო, 28 ივლისი.

საქართველომ აფხაზეთზე თავდასხმისთვის მოამზადა პლაცდარმი

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გამოაცხადა, რომ კოდორის ხეობაში ოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია, მეამბოხეებს ჩამოართვეს დიდი რაოდენობის იარაღი. მაგრამ ჯარები კოდორიდან არ გავლენ მანამ, სანამ არ დააპატიმრებენ „მეამბოხეთა ბანდის“ მეთაურს ემზარ კვიციანს. მისი ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციისათვის ხელისუფლება 55 ათასი დოლარის გადახდას აპირებს. იმ მიდამოებს კი, სადაც იმალება კვიციანი, ალყა შემოარტყა 1,5 ათასმა ჯარისკაცმა.

ამავე დროს, რუსი სამხედროები შიშობენ, რომ კოდორის პლაცდარმს საქართველო გამოიყენებს სოხუმისკენ გაჭრისთვის. რუს სამხედრო ექსპერტთა აზრით, ოპერაციის ფარგლებში საქართველოს ჯარებმა ვერ შეძლეს მთავარი ამოცანის შესრულება – ბანდის ლიდერის ხელში ჩაგდება. ამ ბანდის ხელმძღვანელობა ოპერაციის დაწყებამდე ტოვებდა ხოლმე ხეობას და ტყეებში იმალებოდა. ამჟამად ბანდის ლიდერი ემზარ კვიციანი ხეობის ტერიტორიაზე იმყოფება. ექსპერტთა აზრით, ოპერაციის ჩატარებით საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მიაღწია მთავარ მიზანს – ვერ შეამცირა ბანდის ბრძოლისუნარიანობა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია, მეამბოხეებს ჩამოართვეს დიდი რაოდენობის იარაღი. მაგრამ ჯარები კოდორიდან არ გავლენ მანამ, სანამ არ დააპატიმრებენ „მეამბოხეთა ბანდის“ მეთაურს ემზარ კვიციანს. მისი ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციისათვის ხელისუფლება 55 ათასი დოლარის გადახდას აპირებს. იმ მიდამოებს კი, სადაც იმალება კვიციანი, ალყა შემოარტყა 1,5 ათასმა ჯარისკაცმა.

ამავე დროს, რუსი სამხედროები შიშობენ, რომ კოდორის ხეობაში საქართველო გამოიყენებს სოხუმისკენ გაჭრისთვის. რუს სამხედრო ექსპერტთა აზრით, ოპერაციის ფარგლებში საქართველოს ჯარებმა ვერ შეძლეს მთავარი ამოცანის შესრულება – ბანდის ლიდერის ხელში ჩაგდება. ამ ბანდის ხელმძღვანელობა ოპერაციის დაწყებამდე ტოვებდა ხოლმე ხეობას და ტყეებში იმალებოდა. ამჟამად ბანდის ლიდერი ემზარ კვიციანი ხეობის ტერიტორიაზე იმყოფება. ექსპერტთა აზრით, ოპერაციის ჩატარებით საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მიაღწია მთავარ მიზანს – ვერ შეამცირა ბანდის ბრძოლისუნარიანობა.

ბაქოს თბილისი მსოფლიო ფასებზე გადაჰყავს

„1 ოქტომბრიდან საქართველო მიიღებს ალტერნატიულ ბუნებრივ გაზს აზერბაიჯანიდან“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „რუსთავი-2“ ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში. მაგრამ, სააკაშვილის თქმით, საქართველო არც რუსული გაზის მილებაზე იტყვის უარს. „ჩვენ ვიცით, რომ გარკვეულ პრობლემებს ვუქმნით აზერბაიჯანს, მაგრამ გაქოელ მეგობრებს კარგად აქვთ შეგნებული, თუ რაოდენ საჭიროა ჩვენთვის გაზის ალტერნატიული წყარო“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს სათბობის და ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის მხარესთან მიმდინარეობს მოლაპარაკება შეთანხმებით დათქმული რაოდენობის გარდა, დამატებითი მოცულობის გაზის მოწოდების თაობაზე. ასევე შეთანხმებული იქნება 2012 წლამდე ცისფერი სათბობის მოწოდების გრაფიკი იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისთვის საქართველოს მხარე გებმავს ყოველწლიურად შესყიდული გაზის მოცულობა 1,5-2 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზარდოს.

მაგრამთბილისის ამ იმედებს, როგორც ჩანს, ახლდენა არ უწერია. აზერბაიჯანის სათბობის და ენერგეტიკის მინისტრმა ნათიკ ალიევმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ „სანამ ორ ქვეყანას შორის არ არის ხელმოწერილი კონტრაქტი გაზის მიწოდების შესახებ, რაიმე დამატებით მოცულობებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“. ნათიკ ალიევმა განმარტა, რომ საქართველოს მიჰყიდიან „შაჰ-დენიზის“ საბადოში მოპოვებულ გაზს. ასე რომ, გავრცელებული ხმები რუსეთიდან აზერბაიჯანში გაგზავნილი ბუნებრივი გაზის რექსპორტის გეგმების შესახებ, მეტი რომ არ ვთქვათ, გაზვიადებულია.

ამავე დროს, საქართველოსთვის დამატებითი მოცულობის გაზის მიყიდვის წინაალმდეგ თვით აზერბაიჯანშიც გაილაშქრეს. ამ დღეებში პარლამენტის დეპუტატმა ზაჰიდ ორუჯმა ჟურნალისტებს აცნობა: „თბილისი გოროტად სარგებლობს იმით, რომ საქართველო ტრანზიტული ქვეყანაა და მის ტერიტორიაზე გადის გაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და გაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. ეს ხდება იმიტომ, რომ აზერბაიჯანს არა აქვს დასავლეთში ბუნებრივი გაზის ექსპორტირების ალტერნატიული მარშრუტი. მაგრამ რაღაც დიპლომატიური თამაშების გამო, საქართველოს მხარეს ჩვენ ვერ მივყიდით გაზს ჩალის ფასად, მით უმეტეს, როცა საქმე მილიონობით დოლარს ეხება“.

ადგილობრივ ექსპერტთა დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოს მხარემ უკვე მიიღო გარკვეული შეღავათები ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ტრანზიტის საკითხში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ასე უნდა იყოს მუდამ, ამიტომ, მიაჩნიათ ექსპერტებს, დამატებითი მოცულობის გაზის მიწოდების საკითხის განხილვისას გაქომ უნდა იხელმძღვანელოს გაზის მსოფლიო ფასებით და იმავე ტარიფებით, რომლებითაც რუსეთი აწვდის გაზს თავის პარტნიორებს.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

სოხეთ მამედოვი 28 ივლისი.

საქართველო ტერორისტად სამხრეთ ოსეთის მინისტრს მიიჩნევენ

მთავარ ტერორისტად სამხრეთ ოსეთში მიიჩნევენ საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს. სამხრეთ ოსეთის გამოცემის „რესპუბლიკის“ მიერ განხორციელებული გამოკითხვის მონაცემებით, ამ მოსაზრებას იზიარებს რესპონდენტთა 46,7 პროცენტი.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, 124 რესპონდენტს შესთავაზეს გაეცათ პასუხი შემდეგ კითხვაზე: „თქვენი აზრით, ვინ ძმნის ყველაზე დიდ საფრთხეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ტერორისტული საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით?“. 58 კაცმა დაასახელა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. 36 კაცს (29 პროცენტიძ მთავარ ტერორისტად მიხეილ სააკაშვილი მიაჩნია. გამოკითხულებმა ასევე დაასახელეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი და საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე.

REGNUM
ინფორმაციონ აგენტური

საინფორმაციო სააგენტო, 28 ივლისი.

მოკლედ

უმაღლესი სისხლის სამართლის ტრიბუნალის სხდომაზე ერაყის ექს-პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რადგან იგი სამხედროა, მის მიმართ სასჯელის უმაღლეს ზომად შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ დახვრეტა, და არა ჩამოხრჩობა.

* * *

სომალის კონსტიტუციისა და ფედერალიზმის საქმეთა მინისტრი აბდალა ისააკ დიროუ ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ჩაცხრილეს ქალაქ ბაიბადოს ერთ-ერთი მეჩეთიდან გამოსვლის დროს. მინისტრის მკვლელობამ კიდევ ერთი მძიმე დარტყმა აგებმა სომალის ადმინისტრაციას, რადგან მას უკვე ალარ ძალუძს შეაჩეროს მეაბოხე-ისლამისტების თარეში, რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

* * *

ისრაელის მთავრობა ეწინააღმდეგება ლიბანში მასშტაბურ შეჭრას და კვლავ განაგრძობს „წერტილოვანი დარტყმების“ ტაქტიკას. სამხედრო-პოლიტიკურმა კაბინეტმა, რომლის შემადგენლობაში შედიან ისრაელის ძირითადი სამინისტროებისა და ძალოვან უწყებათა ხელმძღვანელები, ასევე უარყო არმიის წინადადება რეზერვისტების მასობრივი გაწვევის შესახებ, და კვლავ განაცხადა, რომ არ გეგმავს სირიის წინააღმდეგ სომარი მოქმედების დაწყებას.

* * *

თურქეთის არმიამ განახორციელა ხანმოკლე რეიდი ჩრდილოეთ ერაყში. ოპერაციის დროს შეტაკებები ქურთ მოთარეშეებთან არ მომხდარა, იტყობინება ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის საიტი. ასეთივე ინფორმაცია გაავრცელა თურქეთში კანონგარეშედ გამოცხადებული ქურთ მუშათა პარტიის „ევფრატის“ საინფორმაციო სააგენტომ. თურქეთის ხელისუფლება ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ აკეთებს განხორციელებული ოპერაციის შესახებ.

* * *

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანი „ფრინველის გრიპით“ შეიძლება დაავადდეს არა მარტო შინაური, არამედ გარეული ფრინველებისგანაც. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ეს მონაცემები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის პირველი დოკუმენტური მტკიცებულება გარეული ფრინველისგან ადამიანის დაავადების შესახებ. თუმცა, ამ გამოკვლევაში საქმე ეხება არა უკვე ცნობილ H5N1 ვირუსს, არამედ „ფრინველის გრიპის“ ვირუსის მეორე სახესხვაობას – H11N9 ვირუსს.

* * *

შეერთებულმა შტატებმა შეიძლება ერთი წლით შეწყვიტოს სამეცნიერო ექსპერიმენტები საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში. ეს გამოწვეულია ფინანსური პრობლემებით, რომელთა წარმოქმნის მთავარი მიზეზი გახდა საერთაშორისო კოსმოსური სადგურისათვის გაწეული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების 100 მილიონი დოლარით შემცირება. ნასა-ს ფინანსური რესურსების შეკვეცა გამოიწვია იმ უზარმაზარმა ხარჯებმა, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა გაიღო ძარიშხალ „კატრინას“ შემდეგ აღდგენითი სამუშაოების დასაფინანსებლად.

როგორ გავიქცეთ სიცხის

პაპანაქება სიცხეში ხსნას ყველა წყალში ეძებს, ვინ – ზღვაში, ვინ – მდინარესა და ტბაში, ვინ – აუზში. რა თქმა უნდა, წყალი ძალიან კარგია, თუმცა გაგრილების სხვა საშუალებებიც არსებობს. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას.

საშუალება №1, კოსმეტიკური

რაც ნაკლებია ზაფხულში კოსმეტიკა, მით უკეთესია. ყოველთვის იქონიეთ ჩანთაში თერმული წყალი – სპრეი, რომელსაც გევრი მეწარმე უშვებს: Avon, Vichy, Zumene... შეისხურეთ სახეზე, მუხლების ქვეშ, მაჯებზე, იდაყვის მოხრის ადგილზე და ნახავთ, როგორ შვებას იგრძნობთ. თუ მუხლები გიბუშუით, ისარგებლეთ ფეხებისთვის განკუთვნილი გამაგრილებელი სპრეით – Avon-ის „ზაფხულის სიგრილე“. საუცხოოდ აგრილებს სახეს დამტენიანებელი ემულსიები, თვალების ფანქარი და გამაგრილებელი სპრეით – Avon-ის „ზაფხულის სიგრილე“. საუცხოოდ აგრილებს სახეს დამტენიანებელი ემულსიები, თვალების ფანქარი და გამაგრილებელი ეფექტის მქონე დეკორატიული ჩრდილებიც კი.

საშუალება №2, სურნელოვანი

ეთეროვან ზეთებს შეუძლიათ სიცხისგან გათანგულ ქალაქელებს საგრძნობლად შეუმსუბუქოს ყოფა. დააწვეთეთ პიტნის, ლავანდის, ლიმონურას, ნეგოს ან გრეიფრუტის ზეთი ცხვირსახოცზე და ყოველთვის თან იქონიეთ ის. სურნელი დაგეხმარებათ გრილად და კომფორტულად იგრძნოთ თავი. ერთი წვეთი ზეთი წასისვით საფეთქლებსა და მაჯებზე, ან ხელისგულზე დაიწვეთეთ და მისი სურნელი რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქეთ.

საშუალება №3, სასმელი

ერიდეთ ლუდის დალევას, დღის განმავლობაში, ცივი ლუდი სალამოს არის კარგი, როდესაც სიცხე იკლებს. რაც ნაკლები ალკოჰოლია სისხლში, მით იოლია ორგანიზმისთვის გარემოს მომატებულ გრადუსებთან გამკლავება.

არც საჭინულედან გამოღებული გაზიანი სასმელი გიშველით, ის მარტო ყელს გაგიციებთ და ანგინას დაგმართებთ. საუკეთესო ვარიანტია ერთი ფინჯანი ცხელი მწვანე ან პიტნის ჩაი, რომელიც სითბოს მიმოქცევას არეგულირებს. მინერალური წყალი კი წყლისა და მარილის ბალანსის აღდგენაში დაგეხმარებათ. კარგად აგრილებს შტოში და წითელი მოცვის ნაყენი ლიმონის წვენით ან პიტნის ზეთის ორიოდ წვეთით, აგრეთვე ახლად გამოწურული წვენები. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ისინი, ვინც ყველაზე უკეთესად კიტრი აგრილებს. შეგიძლიათ კიტრი ცალკეც ჭამოთ და გახეხილს მინერალური წყალი და პიტნა დაუმატოთ და ისე მიირთვათ. ჩინელები საზამთროს ამჯობინებენ, თანაც არა მარტო მის რბილობს, არამედ ქერქსაც, რომლისგანაც წვნიანს ხარშავენ. სიცხესთან გამკლავებაში ნესვიც დაგეხმარებათ, ნიახურიც და გრეიფრუტიც.

საშუალება №5, რეფლექტორული

როდესაც სიცხისგან სული გეხუთებათ, გირჩევთ გიოლოგიურად აქტიური წერტილები დაიზილოთ: ენერგიულად დაიზილეთ ყურები; ლონივრად დააჭირეთ მარჯვენა ხელის (ცაცია გამა – მარცხენა ხელისა) ცერა თითის ფრჩხილს; ისე მაგრად, რომ ტკივილი იგრძნოთ, დააჭირეთ თითი წერტილს ცხვირის ქვეშ; იჩქმიტეთ გარძაყზე.

ორგანიზმი ტკივილს ადრენალინის გამოტყორცნით უპასუხებს, სისხლძარღვები გაფართოვდება, ყველა სისტემის მუშაობა გააქტიურდება.

თუ სუნთქვა გიჭირთ, ენის ქვეშ ვალიდოლი ან უბრალოდ საწუწნი კანფეტი ამოიდეთ.

საშუალება №6, ტექნიკური

ყველაზე იოლი გზაა კონდიციონერით აღჭურვილი მანქანით მგზავრობა. ფეხით სიარულისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის მოყვარულებს ვურჩევთ ისარგებლონ „გაგრილების პერსონალური სისტემით“ (Personal cooling systemd, რომელიც იმდენად პატარაა, რომ შეგიძლიათ კისერზე ჩამოიკიდოთ. გარეგნულად ის პროპელერითა და სითხისთვის განკუთვნილი რეზერვუარით აღჭურვილ რკინის საყელოს ჰგავს. ჩართავთ რეზერვუარში წყალს, დააჭერთ ღილაკს და გრილი ჰაერის ნაკადი მთელ ხერხემალზე დაგვიწყებთ. თუ ასეთი საყელო არ მოგწონთ, შეგიძლიათ ჯიბის ვენტილატორით ისარგებლოთ.

საშუალება №7, ეგზოტიკური

ძველ რომაელებს სიცხეში ყოველთვის თან ჰქონდათ ბროლის გურთულები, რადგან სჯეროდათ, რომ ისინი ჭარგ სიცხეს შეიწოვდნენ. ირკვევა, რომ რომაელები სწორად იქცეოდნენ – ბროლი კარგი თბოგამტარია, ისე რომ მთის ბროლის საყურეებს, სამკაულებსა და მკივებს მართლაც შეუძლია სიცხეში შვება მოგანიჭოთ. აფრიკელი აბორიგენები ამავე მიზნით წარმატებით იყენებენ გამგუშს.

ვარსკვლავი მზის წინააღმდეგ

ახლა გიგსონი ცოლის ერთგულია – არა მოდელის, არა მსახიობის, არამედ უბრალო სტომატოლოგის. არადა იყო დრო, როცა ის მეგობარ ძალებს ღალატობდა, რის გამოც ზოგი მათგანი ვენებსაც კი იჭრიდა, ახლა ის სასმელს არ ეკარება და ანტიალკოჰოლური საზოგადოების წევრია, და ეს მაშინ, როცა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ სასმელის გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებდა. ახლა მელ გიგსონი იმდენად უფრთხილდება საკუთარ ჯანმრთელობას, რომ მზესაც კი ემალება. არ სვამს, არ ეწევა, მისდევს სპორტს, მოჰყავს ციტატები გიგლიიდან. ნეტავ, რა მოხდა, როდის აქეთ გახდა ასეთი წესიერი?

ზოგი ჭირი მარგებელიაო

ასეთი რამ გიგსონების სიცოცხლეში ორჯერ მოხდა. და ორივე შემთხვევაში უბედურება ისე დიდი იყო, რომ მისი გადატანის შემდეგ ყველა ვერ მოეგებოდა გონს.

როდესაც მელი მოზარდი იყო, მამამისს მანქანის ზეთის გუგებზე ფეხი გაუცურდა და ხერხემალი სამ ადგილზე გადაუტყდა. „ველარ ივლის“, – ასე დაადგინეს ექიმებმა. მაგრამ უფროს გიგსონს სიზმარში ქალწული მარიამი გამოეცხადა და ალუთქვა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. და ათქისტმა ჰათორნმა დაიჯერა. მან ვარჯიშების საკუთარი სისტემა შეიმუშავა და რამდენიმე თვეში ფეხზე დადგა, მალე კი რელიგიური თემი დააფუძნა. მრავალი წლის შემდეგ ვაჟიშვილი მელი მას ნამდვილ ეკლესიას უხსნიდა. მაგრამ მანამდე ჯერ შორს იყო: ჭაბუკი მელი ღვთისნიერი სულაც არ იყო. მას ახლა რცხვენია ცხოვრების იმ პერიოდის და ურჩევნია არ გაიხსენოს ის დრო, როცა ქალებს აუგედურებდა. ჯერ ერთს ხვდებოდა, მერე ცოლად შერთვაზე უარი უთხრა და სხვა ქალთან დაიჭირა საძმე. პირველისთვის გიგსონთან რომანი თავის მოკვლის მცდელობით დამთავრდა, მეორისთვის კი მსახიობის კარიერასთან დამშვიდობებით.

მელს „ტარაკანებიც“ გლომგად ჰყავდა. ყოველი ფილმის შემდეგ შიშობდა, რომ მყურებლები გადაიყვარებდნენ, რეჟისორები კი აღარ გადაილებდნენ. თუმცა 25 წლის ასაკში მან გახმაურებულ ფილმ „შეშლილ მაძღრში“ გადაღება მოასწრო, რომელმაც მას არა მარტო ამერიკაში მოუტანა უდიდესი წარმატება.

გარდა ამისა, ტანმორჩილ მსახიობს ისიც საშინლად თრგუნავდა, რომ ფილმებში ყველა მისი პარტნიორი, თითქოს ვჩიბარზე მასზე მაღალი იყო. ისინი იძულებულები იყვნენ მოხრილიყვნენ, თავად მელს კი დამაცირებელ დასალს სკამზე უხდებოდა შედგომა.

მსახიობმა სმა ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ კარიერის დასაწყისში 6 ქილა ლუდი საუზმეზე, კონიაკი დღისით და აუცილებელი ლუდი ვისკით სალამოს. ერთხელ ბარში სერიოზული ჩხუბის შემდეგ ის გადაღებაზე ცხვირ-პირდამტვრეული გამოცხადდა და რეჟისორებმა საბოლოოდ ირწმუნეს: მელი ცუდი ბიჭია. ჰოლივუდში მას ზურგს უკან „შეშლილ მელს“ ეძახდნენ. ამან საბოლოოდ განაზღვრა მისი რეპერტუარი მოთარეშეები „შტურმის რაზმი Z“, „Z ჯგუფის ჯარისკაცები“, „სახიფათო ცხოვრების წელი“, „მდინარე“, „ბაუნტი“ – ახლა რომ შეხედავ ზემოთ ჩამოთვლილ ფილმებში გადაღება, დაუფიქრებლად იტყოდა უარს. რატომ? მორიგ ჩხუბში მსახიობმა თავის ქალისა და ტვინის ტრავმა მიიღო, სამი დღე საავადმყოფოში სიკვდილ-სიცოცხლეს შორის იყო. გადარჩა და ჭრილობების მოსაშუშებლად ფერემას მიაშურა. ორი წელი წარსულის გადახედვას მოახმარა, საკუთარი ცხოვრება გაარჩია, ხოლო როცა საბოლოოდ გამოკეთდა, მტკიცედ გადაწყვიტა უარი ეთქვა ალკოჰოლზე და სამაგალითო კათოლიკე და მეოჯახე გახდა.

პირადი მტერი

ტრავმის შემდეგ ჯანსაღი წესით დაიწყო ცხოვრება. ყოველთვის და ყველგან, პლაჟზეც კი. ყველაზე მეტად მსახიობს კანის კიბოს შიში აქვს, ამიტომაც სანაპიროზე მზისგან დასაცავი კრემით მომარაგებული დღის და მარტო თვითონ კი არ ისმევს მას, არამედ უსვამს ყველას, ვინც მოხვდება. ამასთან მას ძალიან უკვირს, რატომ იხრუკებიან მთელი დღე მზეზე და გავშვებასაც აძლევენ ამის ნებას.

სამწუხაროდ, კანის კიბო ძალიან გახშირებულია. განსაკუთრებით ისინი რისკავენ, ვისაც თეთრი კანი და წითური თმა, ცისფერი, ნაცრისფერი და მწვანე თვალები აქვს – მათ ხომ მზე ყველაზე სწრაფად სწვავს. ეს კი უკვალოდ არ რჩება: საშიშროება ბავშვობაში დაიწვას, რომ მთელი მომდევნო სიცოცხლე რისკის ჯგუფში გაატაროთ, გვაფრთხილებენ ექიმები. შემჩნეულია, რომ ის ადამიანები, რომლებსაც 20 წლის ასაკამდე მზისგან დამწვრობა აქვთ გადატანილი და დიდხანს იყოფებიან მზეზე, უფრო ხშირად ავადმყოფობენ. ფრთხილად უნდა იყვნენ ისინიც, ვისაც მრავლად აქვთ ხალები და ვისაც მელანომით დაავადებული ნათესავები ჰყავთ.

მთელი ძალა კრემშია

„რა არის გარუჯვა? – არ ცხრება მელი. – კანის დაცვითი რეაქცია მზის სხივების ზემოქმედებაზე. თუ კანს გარუჯვით, კრემით დაიცავით იგი და ზედიზედ რამდენიმე საათი არ დაიხრუკებით მზეზე, გარუჯვა გარგებთ და იმუნიტეტს გაგიძლიერებთ. მაგრამ თუ გარუჯვის ნაცვლად დაიწვებით, იცოდეთ, რომ უსიამოვნებები გელით“. უსიამოვნებები კი ყოველთვის კანის კიბოს თუ არა, ნაოჭებსა და ნაადრევ მოდუნებას აუცილებლად გულისხმობს. გიგსონის აზრით, მზისგან ვერც შავი სათვალე დაგიცავთ და ვერც ქოლგა, მთელი ძალა მზისგან დამცავ კრემშია. მის გარეშე ჯოზია ალუჯზე საერთოდ არ გაბვიდეთ. წყლიდან რომ ამოხვალთ, კეთილი ინებეთ და ისევ წაისვით კრემი.

ეს მსახიობის რჩევაა, ექიმები კი ერთგვარად აქარწყლებენ მის აზრს და აცხადებენ, რომ კრემების უმრავლესობა მზის სხივების მთელი სპექტრისგან არ იცავს კანს და თანაც ისინი დიდი ხნის განმავლობაში არ მოქმედებს, ხოლო თუ იბანავებთ ან უბრალოდ გაოფლიანდებით, მათი ეფექტი სუსტდება. სრულ დაცვას ვერც ერთი კრემი ვერ უზრუნველყოფს. ამიტომაც გახსოვდეთ, რომ როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს მზისგან დამცავი საშუალება, 10-დან 16 საათამდე გარუჯვა არ შეიძლება.



აუცილებლად იზრუნეთ ტუჩების კანზე: იგი მედოვნინს არ ძნის და ამიტომაც ულტრაისფერი სხივების წინააღმდეგ მელმა კვლავ ადვილად დაიყრა ჰოლივუდი. დაბრუნების შემდეგ გადაღებულ ფილმს „სასიკვდილო იარაღი“ დიდი წარმატება ჰქონდა. დიახ, ეს იყო „მოთარეშე“, მაგრამ ხარისხიანი, მახვილგონივრული და ძალიან ადამიანური „მოთარეშე“. ხოლო ფილმმა „მაგაცი გული“, სადაც მან მთავარი როლიც შეასრულა და პროდიუსერობაც გასწია, შეიძლება ითქვას, დაასრულებინა მისი ჰოზიციები ამერიკულ კინემატოგრაფიაში – ხუთი „ოსკარი“, რომელთაგანი ორი პირადად მელ გიგსონს ერგო. ამის შემდეგ მსახიობმა ჰითეტში ითამაშა: „გამოსასყიდი“ (1996ძ, „შეთქმულების თეორია“ (1997ძ, „საზღაური“ (1999ძ.

2004 წელს კი მელ გიგსონი გახდა ფილმის „ქრისტეს ვნებანი“ სცენარისტი, პროდიუსერი და რეჟისორი. ამ სურათმა ვილაცას ცრემლი მოჰგვარა, ვილაც ჟეშმარიტ გზაზე დააბრუნა, ვილაცას კი რწმენა განუმტკიცა. ეს ღირსეული საფეხური იყო მსახიობის კარიერაში. რა იქნება მომავალში.

„გახსნეს შამრავი სოლარიუმი და“...

ესეც მელ გიგსონის სიტყვებია. მისი აზრით სოლარიუმში გარუჯვა ცხოვრების ჯანსაღ წესში არ ეწერება. მსახიობი არც თვითონ დადის სოლარიუმში და არც შვილებს უშვებს იქ. „სოლარიუმის ეფექტი ხანმოკლეა, ისგრეება, კი რასაც ის გამოიწვევს, სამუდამოდ რჩება“.

საუკეთესო „მოთარეშენი“

უბედურებამ რომელიც გიგსონს 20 წლის წინათ შეემთხვა, არა მარტო მსახიობის აზროვნებაზე იმოქმედა სერიოზული ზეგავლენა, არამედ მის კარიერაზეც. ფერმაში ორწლიანი განმარტოების შემდეგ მელმა კვლავ ადვილად დაიყრა ჰოლივუდი. დაბრუნების შემდეგ გადაღებულ ფილმს „სასიკვდილო იარაღი“ დიდი წარმატება ჰქონდა. დიახ, ეს იყო „მოთარეშე“, მაგრამ ხარისხიანი, მახვილგონივრული და ძალიან ადამიანური „მოთარეშე“. ხოლო ფილმმა „მაგაცი გული“, სადაც მან მთავარი როლიც შეასრულა და პროდიუსერობაც გასწია, შეიძლება ითქვას, დაასრულებინა მისი ჰოზიციები ამერიკულ კინემატოგრაფიაში – ხუთი „ოსკარი“, რომელთაგანი ორი პირადად მელ გიგსონს ერგო. ამის შემდეგ მსახიობმა ჰითეტში ითამაშა: „გამოსასყიდი“ (1996ძ, „შეთქმულების თეორია“ (1997ძ, „საზღაური“ (1999ძ.

2004 წელს კი მელ გიგსონი გახდა ფილმის „ქრისტეს ვნებანი“ სცენარისტი, პროდიუსერი და რეჟისორი. ამ სურათმა ვილაცას ცრემლი მოჰგვარა, ვილაც ჟეშმარიტ გზაზე დააბრუნა, ვილაცას კი რწმენა განუმტკიცა. ეს ღირსეული საფეხური იყო მსახიობის კარიერაში. რა იქნება მომავალში.

გონივრული გარუჯვა

●მზის აბაზანებისთვის დილის ან საღამოს საათები შეარჩიეთ.

●გასარუჯად თეთრი საბანაო კოსტიუმი ჩაიცვით (ის ფერი მავნე სხივებს ირეკლავს, მათ შორის ულტრაისფერსაც) ან მკრთალ თეთრი თანმდევი ბინცდაფარეთ.

●კარგი დამცავი კრემი ნებისმიერ შემთხვევაში არ გაწყენთ. თუ ძალიანლია ფერის კანი გაქვთ, უკეთესია დიმტიკონის შემცველი კრემი იხმაროთ.

●გევრი ხალი გაქვთ? ვიდრე გაირუჯებოდეთ, რჩევა ჰკითხეთ დერმატოლოგს.

●35-40 წელზე უფროს და ონკოლოგიური დაავადებებისკენ მემკვიდრეობით მიდრეკილების მქონე მანდილოსნებს გარუჯვას არ ვურჩევთ.

ფეხბურთი

სეკვესტრი სტარტის წინ

ძალიან გვიმძიმს, მაგრამ იძულებულნი ვართ გაუწყოთ – ფეხბურთელთა XVIII ეროვნული ჩემპიონატი ფოთის „კოლხეთისა“ და „ცხინვალის“ გარეშე იწყება, რამაც მონაწილეთა რაოდენობის, უესაბამისად, თოთხმეტამდე შემცირება გამოიწვია.

წყალწაღებული რომ ხასს ეჭიდება, ისე გვებრძვა უკანასკნელ მომენტამდე – იმ ქალაქის გუნდს, სადაც ქართული ფეხბურთის აკვანი დაირწა და რომელიც თავს ფულის ტომრად ქცეული ნავსადგურით იწონებს, პატრონი გამოუჩნდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად – ეტყობა, ტრადიციებსა და პრესტიჟზე საუბარი უკვე ანაქრონიზმად ითვლება.

კიდევ უფრო საგანგაშოდ გვესახება სამაჩაბლოელთა გაწირვა – კონფლიქტური რეგიონის მარცელა გგმრ მოსახლეობას ლამის ერთადერთი თავშესაქცევი მოუსპეს. დავიჯეროთ, რომ თუგორის „დილას“ „ველა შეიძლებოდა, ცხინვალელთა საძმო ასე უიმედოდ იყო?

ასეთ ვითარებაში კაცი აუბს ვერ იტყვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ლიგის მესვეურთა მიმართ – ისინი გოლო მომენტამდე აძლევდნენ შანსს გაჭირვებაში ჩავარდნილთ მდგომარეობის გამოსასწორებლად, რამდენჯერმე საბანკო გარანტიების წარმოსადგენად ვადაც მაძსიმალურად გადმოუწიეს, მაგრამ ფაზისელთა და შიდაქართლელთა გადასარჩენად თავი არავინ შეიწუხა.

ასეა თუ ისე, სტარტზეა XVIII ეროვნული ჩემპიონატი და ჩვენც, ავად თუ კარგად, შევეცდებით მუდმივად საძმის კურსში ჩაგაყენოთ.

დღეს 17 საათსა და 30 წუთზე ითამაშებენ: „დინამო“ – „გორჯომი“, „დილა“ – „გათუმი“, „სიონი“ – „ოლიმპი“, „კახეთი“ – „მერანი“, „ზესტაფონი“ – „ლოკომოტივი“. **31 ივლისი:** „ამერი“ – „ჩიხურა“, „ტორპედო“ – „ვიტ ჯორჯია“.

თბილისის „დინამო“

მხოლოდ „ოქრო“ და თასი

ყირიმული შეკრებიდან დაბრუნებული თბილისის „დინამოს“ თავკაცობამ გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ტრადიციული წინასასეზონო პრესკონფერენცია მოაწყო.

– შავიზღვისპირეთის საუკეთესო პირობებში სავჯერადი ვარჯიშები გვქონდა, თუმცა გიჭებმა, გადაღლილობის მიუხედავად, სპარინგ-შეხვედრები კარგი შედეგებით დაასრულეს, რაც ოპტიმისტურად განგვაწყობს, – განაცხადა გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **კახა კაჭარავამ.** მართალია, წლევანდელ „დინამოში“ ტონს ახალგაზრდობა იძლევა, მაგრამ ეს სრულიადაც არ გვიშლის ხელს დამდეგ სეზონში ამოცანად მხოლოდ „დუბლი“ დავისახოთ. ისე, არც კვალიფიციური უცხოელი ნახევარმცველისა და თავდამსხმელის დამატება გვაწყენდა, – დასძინა მან და ალაპერდს კლუბის მმართველ-დირექტორთან **გუგა ტყავაძესთან** გადავიდა.

– ახლახან ერთი წლით გავახანგრძლივეთ კონტრაქტი ჩვენს გენერალურ სპონსორ „გეკოსთან“ – შევიტყვეთ მისგან. დამეთანხმებით, „დინამოს“ დაფინანსება კონფიდენციალური თემაა, თუმცა იმას კი გეტყვით, რომ შარშანდელთან შედარებით ჩვენი სუბსიდირება არ შემცირებულა. გაუწყებთ იმასაც, რომ გორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის გამო | წრის მატჩებს ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სარგებელზე გავმართავთ.

დავძენთ, რომ დღეს „გორჯომთან“ სასტარტო თამაშის წინ ფეხბურთს გუნდის ვეტერანი, დიდებული პიროვნება და მეკარე ირაკლი ზოიძე ეთხოვება.

უეფას თასი

„დუ-იაქეს“ ტროფიალნი

„უეფას თასის გათამაშების საპასუხო საკვალიფიკაციო რაუნდში ორივე ქართულმა კლუბმა გაგვახარა, თუმცა შემდეგ ეტაპზე მხოლოდ „ამერი“ ითამაშებს.

„ბანანცი“ – „ამერი“ 1:2 (1:0, 1:2).

პირველი მატჩის წაგების შემდეგ გლდანელთა თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ თავისი გუნდის შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა – ელბაქიძე, დობროვოლსკი და გოლქვაძე. გაუმართლეს კიდეც – დაცვის მარცხენა ფრთისა და მინდვრის შუახაზის გამაგრებით სტუმრებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს და უილგლო დეგიუტის მიუხედავად, რევანშში სასურველი ანგარიშით აიღეს. აღსანიშნავია, რომ გოლები მასპინძელთა კარში ორწუთიანი ინტერვალით წინამძღვრიშვილმა და დოგროვოლსკიმ გაიტანეს.

„ვიტ ჯორჯია“ – „არტმედია“ 2:1 (0:2, 2:0, 1:0).

ვეტერინარებს ცდა არ დაუკლიათ ორგზრთიანი დეფიციტის ალმოსაფხვრელად, მაგრამ ორი გომბარდირის გარეშე მაინც სოლიდურად მოთამაშე სლოვაკებს მხოლოდ მორალური კმაყოფილებისმომგვრელი შედეგით სძლიეს. **გოლები:** ლომაია, რაზმაძე (პენალტით); ჰალენარი.

დანარჩენი შედეგები: „ტოგოლი“ – **„გაზელი“** 0:0 (1:3, „ქაირათი“ – **„ვიდეოტონი“** 0:0 (1:3, **„სკონტო“** – „ჟენესი“ 3:0 (2:0, „ყარაგახი“ – **„ზიმბრუ“** 1:2 (1:1, **„ტირანა“** – „ვარტექსი“ 2:0 (1:1, **„სუდოვა“** – „რილი“ 2:1 (0:0, **„დინამო“** (მინსკი) – „ზაგლემბიე“ 0:0 (1:1, „ეტცელა“ – **„ატვიდაბერგი“** 0:3 (0:4, **„ფლორა“** – „ლინი“ 0:0 (1:1, „რეინჯერსი“ – **„სარაევო“** 0:2 (0:3, ჰაპა – **„ლევადია“** 1:0 (0:2, „ნისტრუ“ – **გაბე** 0:1 (0:2, „ფლიემა“ – **„რაპიდი“** (გუძარესტი) 0:1 (0:5, **ცსკა** (სოფია) – „დინამო“ (ტირანა) 4:1 (1:0, „გოტუ“ – **„ვენტსპილსი“** 0:2 (1:2, **„კაუნასი“** – „პორტდაუნი“ 1:0 (3:1, **„ომონია“** – „რიეკა“ 2:1 (2:2, **„სტარტი“** – „სკალა“ 3:0 (1:0, „ტრნავა“ – **„ძარვანი“** 0:1 (0:1, **„ბრანი“** – „გლენტორანი“ 1:0 (0:1, „მაკედონია“ – **„ლოკომოტივი“** (სოფია) 1:1 (0:2, **„ვალდუცი“** – „უიკომბი“ 0:1 (4:0, **„იანგ ბოიზი“** – „მიკა“ 1:0 (3:1, **„ლიტექსი“** – „კოპერი“ 5:0 (1:0, „აპრანესი“ – **„რანდერსი“** 2:1 (0:1, **„დინამო“** (გუძარესტი) – „ჰიბერნიანსი“ 5:1 (4:0, **„რუზელარე“** – „ვარდარი“ 5:1 (2:1, **„დომჟალე“** – „ორაშიე“ 5:0 (2:0, **„დერი“** – „გეტებორგი“ 1:0 (1:0, **„ლანელი“** – „გეფლე“ 0:0 (2:1, **„დროჰედა“** – ჰიკ 3:1 (1:1, „ვალიური“ – **„ბრონდბიუ“** 0:0 (1:3, „მარუტა“ – **„აპოელი“** 0:4 (1:3.

კალათბურთი

ჯეელობას ჰამბურგში გაიხსენებენ

გერმანიის ქალაქ ჰამბურგში დღეს იწყება და 6 აგვისტოს დამთავრდება ვეტერან კალათბურთელთა ევროპის მეოთხე ჩემპიონატი. ამ დონის შეჯიბრებაში პირველად იასპარეზებს საქართველოს ნაკრები (ნიკოლოზ დერიუგინი, ნოდარ ქორქია, გია სანაძე, პაატა გურასპაული, დავით გიორგობიანი, ლევან გაჩეჩილაძე, გიძინა გეგიძე, ლევან წულაია, რეზო ჩაჩხიანი, თემურ ცაგარეიშვილი, გიორგი გერუაშვილი, თენგიზ ფიცხელაური, მწვრთნელი – ნუგზარ ჭეიშვილიძ, რომელიც ტურნირისთვის ორი თვე ემზადებოდა.

ჩვენი კალათბურთელები ორმოც წელს გადაცილებულთა კატეგორიაში ითამაშებენ. ჯგუფში მათი მეტოქეები არიან ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული პოლონელები და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი რუსები. ამის მიუხედავად, ჯვაროსნებიოპტიმისტურად არიან განწყობილი და თავს არავის დავაჩაგვრინებთო, თქვეს გერმანიაში გამგზავრების წინ.

გვჯერა, რომ ასეც იქნება.

უეფას შტაბგინაში

ღილი ნაუარია

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბგინაში ევროტურნირების მორიგი ეტაპის კენჭისყრა მოეწყო, რომელმაც ძართულ კლუბებს მეტოქეებად საფეხბურთო ელიტ-ქვეყნების წარმომადგენლები „გამოუწერა“.

ბულგარეთის „ლევსკის“ წინაღობის გადალახვის შემთხვევაში ბოლნისის „სიონი“ ჩემპიონთა ლიგის III შესარჩევ ეტაპზე იტალიის „კიევოს“ შეხვდება, ხოლო უეფას თასის გათამაშების II საკვალიფიკაციო რაუნდში თბილისის „ამერს“ ბრძოლა ბერლინის „ჰერტასთან“ მოუწევს. ქვემოქართლელები პირველ მატჩს შინ, გლდანელები კი სტუმრად გამართავენ.

გაუწყებთ გუშინდელი ლატარიის სრულ შედეგებს.

ჩემპიონთა ლიგა.
8-9 და 22-23 აგვისტო

„აუსტრია“ – „გენფიკა“, „ჰამბურგი“ – „ოსასუნა“, „ლივერპული“ – „მაკაბი“, „შერიფი“ ან „სპარტაკი“ – „ლიგერეცი“, „შახტიორი“ – „ჰაფნარი“ ან „ლეგია“, „ციურიხი“ ან „ზალცბურგი“ – „ვალენსია“, „ჰართსი“ ან „შიროკი ბრიეგი“ – აეკი, ცსკა (მოსკოვი) – „იურგორდენი“ ან „რუჟომგეროკი“, „მილანი“ – „კორკი“ ან „ცრვენა ზვეზდა“, „გალათასარაი“ – „ბოლესლავი“ ან „ვოლერენგა“, „სტანდარდი“ – „გორიცა“ ან „სტიაუა“, „ეკრანასი“ ან ზაგრების „დინამო“ – „არსენალი“, „კოპენჰაგენი“ ან „მიუპა“ – „აიაქსი“, ლატვიის „მეტალურგი“ ან კიევის „დინამო“ – „ფენერბაჰჩე“ ან „ტორსჰავნი“, „ლილი“ – „დებრეცენი“ ან „რაგოტნიჩკი“.

უეფას თასი.
10 და 24 აგვისტო

„აპოელი“ – „ტრაბზონსფორი“, „ჰაპოელი“ – „დომჟალე“, ცსკა (სოფია) – „ჰაიდუკი“, „რუზელარე“ – „ეთნიკოსი“, ოფკ – „ოსერი“, გუძარესტის „დინამო“ – „გეითარი“, „პარტიზანი“ – „მარიბორი“, „სარაევო“ – „რაპიდი“ (გუძარესტი), „ბნეი-იეჰუდა“ – „ლოკომოტივი“ (სოფია), „ომონია“ – „ლიტექსი“, „ტირანა“ – „ძარისერისფორი“, „არტმედია“ – მინსკის „დინამო“, „რიდი“ – „სიონი“ (შვეიცარია), „ფენერბაჰჩე“ – „გრასჰოპერსი“, „ძარვანი“ – „სლავია“, „ჩერნომორეცი“ – „პლოცკი“, „გაზელი“ – „ვადუცი“, „ზიმბრუ“ – ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, „მატერსბურგი“ – „ვისლა“, „რუბინი“ – გაბე, „მარსელი“ – „იანგ ბოიზი“, „სტარტი“ – „დროჰედა“, „ოდენსე“ – „ლანელი“, „კაუნასი“ – „რანდერსი“, „ტვენტე“ – „ლევადია“, „ვენტსპილსი“ – „ნიუკასლი“, „ბრანი“ – „ატვიდაბერგი“, „მოლდე“ – „სკონტო“, „ფლორა“ – „ბრონდბიუ“, „სუდოვა“ – „ბრიუგე“, „ბრეტნა“ – „დერი“.

ჟადრაკი

ანა ისევ პირველია

ამას წინათ გაუწყეთ, რომ თელაველმა დიდოსტატმა ანა მათნაძემ ესპანეთის ერთ-ერთ დიდ საერთაშორისო ტურნირზე ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა. ამჯერად იგი გალაგერის (კატალონიაძ საერთაშორისო ტურნირში ჩაეშვა და კვლავ ვაჟებს (შერეული ტურნირი იყოძ წინაალმდეგ მოუწია პაექრობა. მეორე ტურში გულგარელ დიდოსტატს ალექსანდრ დელჩევს დაუზავდა, მესამეში კი სომეხი კარენ მოვსესიანი დაამარცხა.

საბოლოოდ ანამ 6 ქულას მოუყარა თავი და ქალებში ისევ პირველ ადგილზე გავიდა, თანაც ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი მესამედ შეასრულა და ამ წოდებასაც ფილეს უახლოეს კონგრესზე მიანიჭებენ.

გალაგერის ტურნირი კი 8 ქულით გულგარელმა ალექსანდრ დელჩევმა მოიგო.

◎ ორბიტაზე

ვისზე ნაკლები ფეხბურთელები ვართ

ნიჭიერ ნორჩ ფეხბურთელ გოგონებს უნდა ჰძონდეთ ყმაწვილებთან ერთად გუნდში თამაშის შესაძლებლობა, – მიაჩნიათ ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში.

როგორც Times იტყობინება, უახლოეს ხანში პარლამენტარები თავიანთ აზრს აცნობებენ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას (FA). დეპუტატებს სწამთ, რომ ფეხბურთის ასოციაციის ნორმები, რომლის მიხედვითაც გოგონებს, დაწყებული 12 წლიდან, არ შეუძლიათ ბიჭებთან ფეხბურთის თამაში, „არ შეესაბამება დროის სულისკვეთებას“.

თემთა პალატაში აცხადებენ, რომ მათ პოზიციას მხარს უჭერს ქვეყნის მთავრობაც. „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ გერმანიასა და აშშ-ში ყველაფერი სხვანაირადაა. მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს“. – ნათქვამია პარლამენტის წევრთა პრეს-რელიზში.

„ვიცი, რომ ისევე კარგი ფეხბურთელი ვარ, როგორც ჩემი თანატოლი სხვა ბიჭები, – მოაქვს ერთ-ერთი სპორტსმენი გოგონას დასაბუთება ტაიმსს. – ეს ჩემი გადასაწყვეტია, რომელ ასაკში უნდა დავიწყო თამაში ქალთა გუნდში“.

დოპინგში ადანაშაულებენ

ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ველორბოლაში „ტურ დე-ფრანს-2006“ გამარჯვებულ ამერიკელ ველომრბოლ ფლოიდ ლენდისზე ეჭვი მიიტანეს, როგორც „დიდი მარყუჟის“ მრბოლებს შორის დოპინგის ერთ-ერთი მომხმარებელზე.

როგორც ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, დოპინგ-სინჯში „A“ ერთ-ერთ ველოსიპედისტს სისხლში ალმოაჩნდა აკრძალული პრეპარატის კვალი, რაც განმეორებითმა მეორე სინჯმა უნდა დაადასტუროს. ეჭვი კი სწორედ ლენდისზე მიიტანეს.

რატომ გადაიდო ქორწილი?

ამბობენ, „შავმა კატამ“ გაირბინაო ცნობილ იტალიელ მოტომრბოლელ, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონ მაქსიმილიანო ბიაჯისა და 2002 წლის „იტალიის დედოფლის“, მსახიობსა და მოდელის ელეონორა პედრონს შორის. ყოველ შემთხვევაში ამას ირწმუნებიან იტალიელი პაპარაცები.

როგორც მაქსისა და ელეონორას გარემოცვიდან გამოჟონა, ბოლო ხანებში შეყვარებულთა ურთიერთობა ძალზე გაუარესდა. თუმცა თავად ლამაზმანი უარყოფს მათი რომანის დასასრულს.

მაშინ რატომ გადაიდო მათი ქორწილი? პედრონის თქმით, მათ დრო არ ჰყოფნით მდიდრული ღონისძიებისთვის. თან ახლა პედრონი გამალებით ეძებს ბინას მილანში, სადაც მონტე-კარლოდან უნდა გადავიდეს, იქ კი მაძლი ცხოვრობს.

◎ შიშველი ფაქტები

ცნობილი საფეხბურთო ავარა მარკო მატერაცი სვირინგების რაოდენობის მიხედვით ნებისმიერ რეციდივისტს ფორას მისცემს

ზიდანის შეშრაცხმყოფელი ნემსებს დაშეეპობრდა

ამ დღეებში ყოველკვირეულმა „პარი-მატჩმა“ ტატუირებული მარკო მატერაცის შესანიშნავი ფოტოები გამოაქვეყნა. საფრანგეთი თავის „მტერს“ ახლა მხოლოდ სახით როლი იცნობს: საფეხბურთო სამყაროს მთავარი პროვოკატორის პრაქტიკულად სხეულის ყველა ნაწილი სამზეოზეა გამოტანილი. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ კადრში მატერაცის ფეხები ვერ მოხვდა: რამდენიმე დღის წინათ იტალიელი ფეხბურთელის მეგობარმა – მომსვირინგებელმა ძალბატონმა მარკოს მარჯვენა ბარძაყზე 28 სანტიმეტრის სიმაღლის მსოფლიო თასის გამოსახულება ამოუხატა.

საგულისხმოა, რომ სხეულზე ყველა სვირინგი ისეა განფენილი, რომ მათ სპორტული ფორმა ფარავს. კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მატერაციმ მთელი სხეული გულშემატკივრებზე შთაბეჭდილების მოსახდენად კი არ მოიხატა, არამედ მეგობარი ქალბატონის ნემსებსა და წვალებას ხელოვნების სიყვარულით გაუძლო.

სხეულის მოხატვის ფანატს თითოეული სეანსი 300 ევრო დაუჯდა. სულ მატერაციმ 4 ათას ევროზე მეტი გადაიხადა.

იძნება თუ არა მარკოს მარცხენა მკერდზე ზიდანის პროფილი უკვდავყოფილი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა იტალიელ ფეხბურთელს ტატუირებისთვის სხეულზე საკმაო ადგილი დარჩა.

ტანი
⑨ მარჯვენა მკერდზე – მოღუშული ინდიელი;
⑩ მარჯვენა ხელის გარე მხარეს – უფროსი ვაჟის სახელი ჯანმარკო.

მაინც რა აქვს მატერაციის ტანზე ამოსვირინგებული?

მარჯვენა მხარი
① ვიკინგ ერიკ რიჟის გამოსახულება;
② ინდური სამკაული მ და დ ასოებით, რაც მარკოს და მისი მეულლის – დანიელას კავშირის სიმბოლოა.

ზურგი
③ ხერხემლის გასწვრივ ამოსვირინგებულია მარკოს და დანიელას სახელები;

◎ სხვათა შორის

სამარელმა მატერაციმ „ლომებს“ უჩხვლიტა

„კრილიას“ მცველი სერჟ ბრანკო უკვე მონათლეს სამარელი მატერაციის სახელით. შეგახსენებთ, რომ ცსკა-სთან შეხვედრისას ბრანკოს დრო გაჰყავდა. მოულოდნელად მოედნის ცენტრში სულაც გურთაზე დავარდა. არმიელმა კორკალიომ ეს შესტი შეურაცხყოფად მიიღო. ბრაზილიელმა ბრანკოსთან მიირბინა და მკერდში ხელი ჰკრა. არბიტრმა ორივე ფეხბურთელი მოედნიდან გააძევა.

მატერაცისგან განსხვავებით, ბრანკოს მეტოქისთვის არ შეუგინებია, მაგრამ იტალიელთან რაც მას ამსგავსებს – ეს არის ტატუირებული სხეული. კამერუნელმა მხრებიგ წლეულს ივნისის შვებულებისას ამოისვირინგა. სერჟის სამშობლოს სიმბოლოა აფრიკული ლომი, ხოლო საფეხბურთო ნაკრებს, რომლის შემადგენლობაშიც ბრანკო გამოდიოდა, „კამერუნელ ლომებს“ ეძახიან.



მარცხენა მხარი
④ გამარჯვების ვარსკვლავი;
⑤ მზე და ხვლიკები;
⑥ სამურაის დევიზი იაპონურ ენაზე;
⑦ „მმ“ ინიციალებს შორის არის მოთავსებული რიცხვი „23“ – იტალიელი ფეხბურთელის ნომერი მაისურაზე.
⑧ მატერაციისთვის სიტყვა-თილსმა – la cueva, რაც ესპანურად „გამოქვაბულს“ ნიშნავს.

◎ ამ დროს

ბუშირელმა თვის ბულს ზიდანი დაარქვა

როგორც ყველა ნორმალურმა მამაკაცმა, ბაშკირელმა ფანის ზინუროვმა მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩი ნახა. ჯერ უკრაინას ქომაგობდა, შემდეგ – საფრანგეთს.

– ძალიან მომეწონა ზიდანი, – ამბობს ფანისი, – შესანიშნავად თამაშობდა. არ დამავიწყდება ფინალურ მატჩში იტალიელს რომ ეჩხუბა. ზუსტად როგორც ჩემი ბულა მიშკა, ამიტომ გადავწყვიტე ფრანგის პატივსაცემად მისთვის ზიდანი დამერქმია. ასევე ირძინება, უცხოს ახლოს არ უშვებს.

ხასიათი ზუსტად ზიდანისა აქვს. არავის არაფერს შეარჩენს. მხოლოდ პატრონს უსმენს. ახალ მეტსახელს უკვე შეეჩვია. მთელი ოჯახიც გუღას ზიდანს ეძახის.

– ჩვეულებრივი სახელები უკვე მოგვწყინდა, – სიცილით ჰყვება ფანისი, – ძროხას მაშკას ვეძახით, წითურ კატას – ჩუბაისს. მსოფლიო ჩემპიონატმა გვიშველა. გადავწყვიტეთ, შინაურ ცხოველებს ცნობილი ფეხბურთელების სახელები შევარქვათ.

არ არის გამორიცხული, ვილაცამ ყვინჩილას მატერაცი დაუძახოს... ამის შემდეგ შეიძლება ვინმეს ხალხის სპორტისადმი სიყვარულში დაეჭვდეს?!

თავისი ცნობილი სეხნია-ფეხბურთელისგან (მრგვალ სურათზეძ ბაშკირელმა ზიდანმა ფიცხი ხასიათი შეისისხლხორცა.

◎ בחידון הגדול לא הצליחו אף אחד

מי זכה בתחרות הגדולה ביותר?

ביום שישי, 23 במאי, התקיים בגן החיות הגדול בעיר תל־אביב יום כיף לכל המשפחה. בין השאר התקיים שם חידון גדול, שבו השתתפו עשרות ילדים. כל ילד שענה נכון על שאלה אחת קיבל פרס. אבל בסוף היום התברר שאף אחד לא ענה נכון על כל השאלות. אז מי בכל זאת זכה בתחרות הגדולה ביותר?

◎ მეცნიერების სიახლენი

სამყაროს ფრაგმენტები

სულ პირველ ვარსკვლავებს ზედმეტი წონა „აწუხებდათ“, ძალიან კაშკაშა იყვნენ და ერთობ ცოტა იცოცხლეს. ეს გამოარკვია თეორეტიკოსმა ასტრონომმა რენან ბარკანამ თელ-ავივის უნივერსიტეტიდან. სამყაროს პიონერთა „პორტრეტის“ დასახატავად მას და კოლეგებს ისრაელის საქმიან დედაქალაქში ლამის ყველა სუპერკომპიუტერის მოგილიზება მოუწიათ. თუმცა ჩიტი ღირდა გდღვნად: მაინტრიგებელი წვრილმანები გამოირკვა.



მაგალითად, რომ პირველი ვარსკვლავები გაჩნდნენ არა დიდი აფეთქებიდან 155 მილიონი წლის შემდეგ, როგორც ფიქრობენ, არამედ სულ 35 მილიონისა. ადრინდელი ვარსკვლავები უბრალოდ საშინელებანი იყვნენ თანამედროვესთან შედარებით. მათი მასა ასეულობით ალემატებოდა მზის მასას, ზემძლავრი ნათება ჭმონდათ, განსაკუთრებით ულტრაისფერ დიაპაზონში. გამოსხივების ინტენსიურობა ისე უზარმაზარი გახლდათ, რომ მათი „გამოწვის“ დრო იყო სულ 2-3 მილიონი წელი. შესადარებლად: თანამედროვე ვარსკვლავები იწვიან უკვე რამდენიმე მილიარდი წელია და არც აპირებენ გაცივებას. დოქტორი ბარკანი ფიქრობს, რომ პირველ ვარსკვლავთა სინათლე ჯერ კიდევ შეიძლება დაფიქსირდეს. ეგ კია, ამ სინათლის რეგისტრაციისთვის საჭირო გახდება Hubble-ზე დაახლოებით 100 მილიონჯერ უფრო ზუსტი ტელესკოპი.

– თუ პირველი ვარსკვლავები მართლაც ასე მასიურები იყვნენ, ხოლო მათი სიკვდილის დროს ზეახალი ვარსკვლავის აფეთქება ხდებოდა, მაშინ ჩვენ გვაქვს ამ მოვლენების დაფიქსირების შანსი ისეთი აპარატურის დახმარებით, რომელიც შეიძლება უკვე უახლოეს ათწლეულში შეიქმნას, – ამბობს ასტროფიზიკოსი.

ჩემ ახლოდან

ქირურგიულ მასალებში რადიოჩიპები ჩაშენდება, რომ ქირურგმა ვერ შეძლოს მათი (მასალების) ჩატოვება ავადმყოფის სხეულში.

სტატისტიკის მიხედვით, მარტო აშშ-ში ქირურგებს ყოველწლიურად 1500-მდე საგანი ავიწყდებათ პაციენტთა სხეულში. არცთუ იშვიათად ეს საგნები იძ ათეულობით წელს უსიმტომოდ „იმყოფებიან“, მაგრამ ზოგჯერ დასტაქრის დაუდევრობა სნეულთა დაღუპვითაც კი მოტრიალდება.



არადა, სულ მალე მსგავს „პაციენტისათვის განკუთვნილ საჩუქრებს“ ბოლო მოეღება. ამას გვპირდებიან ამერიკელი სწავლულები და პირადად პროექტის კოორდინატორი, დოქტორი ალექს მაკარიო. ტამპონებსა და სხვა ქირურგიულ მასალებში ჩაშენდება რადიოჩიპები, რომლებიც ხმოვან სიგნალებს მიაწვდიან ექიმს, თუ ის ავადმყოფის სხეულში რამეს დასტოვებს. ახალი ტექნოლოგიის ასპროცენტიანი ეფექტიანობა უჩვენეს პატარა კლინიკურმა ცდებმა ცხრა მოხალისის მონაწილეობით, რომელთაც ოპერაციები ელოდათ მუცლის ან მენჯის ღრუში. ელექტრონული დეტექტორის დახმარებით ექიმმა შეძლო რამდენიმე წამის განმავლობაში პაციენტის სხეულში დატოვებული გაუმჯობესებული ტამპონების აღმოჩენა და იქიდან ამოღება.

კუთხეში

კლონირების ახალი ტექნიკა, როგორც მინიმუმი, ორჯერ უფრო ეფექტიანია არსებულ მეთოდებთან შედარებით და 10-ჯერ უფრო იაფი. დანიაში ღორის კლონირება მოახდინეს. ასეთი სიახლით ახლა ვერცვის გააკვირვებ, ოღონდ იძაურ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ინსტიტუტში მომუშავე დოქტორმა გაბორ ვაიტამ არსებითად გაამარტივა ძუძუმწოვარას კლონირების თვით ტექნიკა.

ჩვეულებრივ, კვერცხუჯრედის ბირთვს განსაკუთრებული ნემსით „გამოსწოვენ“. მკვლევარმა, უბრალოდ, ორად გატეხა კვერცხლუჯრედი და უბირთვოდ დარჩენილი ნახევარი შეაერთა „დასაკლონირებელ“ უჯრედთან. ამ ხერხით დანიელებმა სულ 10 გოჭი გამოიყვანეს. გადარჩა კლონიერებულ ემბრიონთა 21 პროცენტი. ადრე ძუძუმწოვართა კლონირებისას საუკეთესო შედეგი 7 პროცენტს არ აღემატებოდა.

– „ხელით მუშაობის“ ასეთი კლონირებისას დანახარჯები სადარია დანიაში საშუალო ავტომოგილის ღირებულებასთან, ლაბორატორიის აღჭურვილობისადმი მოთხოვნები კი მინიმუმამდეა დაყვანილი. ღორები საუკეთესო მასალაა ადამიანებთან სამომავლო მუშაობის გამოცდილების დასაგროვებლად. ისინი იაფი არიან და იგივე გაბარიტები აქვთ, რაც ადამიანებს. იმათ ჩვენნაირი მეტაბოლიზმი ახასიათებთ და გევრ შემთხვევაში, ჩვენსავით ყოფაქცევაც, – ამბობს გაბორ ვაიტა.

... ტყუილად კი არ ამბობენ ხოლმე ზოგიერთ კაცზე – ნამდვილი ღორიაო...



გახსენება

რამაზ ცხვარაძე

ამბობენ, ადამიანი ყველაფერს უძლებსო, გულს კი მონატრების ატანა შეუძლია, არ ყოფილა მართალი, მაშინ რატომ გახდა გაუსაძლისი უშენოდ ყოფნა **რამაზ** და თუ სულ არ ვტირი, ეს არ ნიშნავს, რომ დარდი გამიჩუმდა. რა ვუყო იმ აუტანელ სიცარიელეს და უზომო ტკივილს, რასაც ვერ კურნავს, ვერ აშუშებს დრო. მენატრებით რამაზ შენ და შენი უგედური დეა, უსაშველოდ მენატრებით, გაუსაძლისად მტკივა თქვენგან დარჩენილი სიცოცხლე. თქვენი შვილები და შვილიშვილები კარგად არიან, უნდა მოგილოცოთ რეზიკოს პატარა ნინოს დაბადება, ღმერთმა ამრავლოს თქვენი დანატოვარი შვილები. მკვდრის მზე სხივებად მიმოქარგავს სამოსს კეცებად, მაგრამ ვაი, რომ შენი ცრემლი არ დამეცემა. თქვენზე დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ ტკბილი სასუფეველი.

შენი დედა ქეთო

30/VII – 2006 წელი.

შპს „გზაპროექტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის საგზაო განყოფილების ყოფილი თანამშრომელი

ვანო გავაშელი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„გზაპროექტის“ თანამშრომლები.

მეუღლე იზოლდა რატიანი, შვილები ნინო, მაკა დიხამინჯიები, სიძეები ვახტანგ შამფრიანი, ირაკლი საგელაშვილი, შვილიშვილები ნუცა შამფრიანი, თამარ, ელენე საგელაშვილები, ძმა კარლო, და ნანა დიხამინჯიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვაჟა ვლადიმერის ძე დიხამინჯია

პანაშვიდი 30, 31 VII, 17 სთ. გამოსვენება 1 VIII, 15 სთ. მისამართი: დ/მ ახმეტელის ქ.№ 14 გ. № 10.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-96-32;

899 328576

შპს თასსკი „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს გალანძზე რიცხული მე-5 სართულზე 1600 მ² გამოუყენებელი ფართის იჯარით გაცემაზე. ფართი გაიცემა 6 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დანიშნულებისთვის, რომლებიც დაიქირავებენ 500 მ²-ზე მეტ ფართს, საიჯარო ქირა შეადგენს 1 მ² 2 (ორი ლარს დღგ-ს და კომუნალური გადასახადების გარეშე.

500 მ²-ზე ნაკლებ ფართზე საიჯარო ქირა შეადგენს 5 (ხუთი ლარს 1 მ²-ზე.

აუქციონი ჩატარდება **2006 წლის 14 აგვისტოს 12 საათზე.**

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 12 აგვისტო, 15 საათი.**

მისამართი – **ჯიქიას ქ. № 10, მე-4 სართული.**

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მისამართზე:

ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. № 10 მე-4 სართული.

საკონტაქტო ტელეფონი – 8.99 79-00-79

დირექტორი.

მიმდინარე წლის 18 აგვისტოს 17 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება „აეროგეოდეზია“-ს აქციონერთა საერთო კრება დღის წესრიგით:

1ძ 2005 სამეურნეო წლის შედეგების განხილვა.

2ძ სხვადასხვა.

მისამართი: პეკინის ქ. № 27.

დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო.

განცხადება კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ – სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობებზე დასაკავებლად;

აძ ახალი არატრადიციული ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ბძ მცენარეებზე და ცხოველებზე გარეშე სტრესული ზემოქმედების მექანიზმებისა და ტოლერანტობის შემსწავლელი განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

გძ მცენარეთა და ცხოველთა დაავადებათა ექსპრესდიაგნოსტიკური საშუალებების შექმნისა და გამოყენების განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

დძ გუნებრივი და სინთეზური სტიმულატორების შექმნის, შესწავლისა და გამოყენების განყოფილების გამგე/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ეძ ფერმერებისათვის ახალი, მარტივი, მცირე ღირებულების მძლე ტექნიკო-ეკოლოგიური ხელსაწყოების შექმნისა და გამოყენების განყოფილების გამგე/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

აძ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბძ კალენდარული ავტობიოგრაფია (CVძ;

გძ დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დძ გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ეძ ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვძ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.ძ;

ზძ შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართიძ (სასურველიაძ;

თძ სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველიაძ;

იძ პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველიაძ;

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

აძ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაშიძ;

ბძ პატენტები;

გძ მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

დძ მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში;

ეძ სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული ხედვა;

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არა უმეტეს 3 წლის ვადით.

5. საბუთების მიღება იწარმოებს სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრში (სსიპძ. მისამართი: **ჭავჭავაძის პრ. 82.**

6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის **28 აგვისტო.**

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება **2006 წლის 4 სექტემბერს.**

8 დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

web:http:Biotechnology-ge.narod.ru

E-mail:Biotechnology-ge@mail.ru

ტელ: 22 05 47; 899 51 54 39

პასუხისმგებელი პირი რუსუდან ჯიქია



NON-STOP

დღის ქალი

ამ დღეებში ლოს-ანჯელესში დამთავრებული სილამაზის კონკურსის შედეგებით, „სამყაროს დედოფალის“ საპატიო წოდების მფლობელი გახდა პუერტორიკელი ზულეიკა რივიერა. მეორე ადგილი მოიპოვა – იაპონელმა ქალიშვილმა, ხოლო მესამე – შვეიცარიის წარმომადგენელმა.

გვირგვინით შემკობის შემდეგ, როგორც ტრადიციულად წინა წლის გამარჯვებულმა, რუსული წარმოშობის ნატალია გლებოვამ მოახდინა, ახალ დედოფალს გული შეუღონდა – და ის სცენიდან გაიყვანეს. ორგანიზატორების განცხადებით, შენობაში ძალზე ცხადია, ამავე დროს ქალიშვილს ძალზე ვიწრო კაბა ეცვა, რამაც გამოიწვია გულის წასვლა.

მართლაც ჯურიოზია

ქალი რას არ გააკეთებს, რათა შური იძიოს ღალატისთვის: ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე – ლიუერ ისტ-საიტზე – გამოჩნდა პლაკატი შემდეგი ტექსტით: გამარჯობა, სტივენ, ბოლოს და ბოლოს დავიმახსოვრე შენი ყურადღება? მე ყველაფერი ვიცი მასზე, შენ ჭუჭყიანი, ქცივიანი, პორალური, ამორალური და ღვთის გლახა ბრძანდები. ყველაფერი ჩაწერილია ფირზე. შენი (უფრო ყოფილიძ ცოლი ემილი. P. S. ამ ბილბოლდისთვის ჩვენი საერთო საბანკო ანგარიშიდან გადავიხადე“. შურისძიების წყურვილით შეპყრობილი ემილის პლაკატი მისი ქმრის ოფისის პირდაპირაა გამოკრული, რათა ყოველდღე სამუშაოზე მისული ღალატში შემჩნეული სტივენი სირცხვილითა და სინდისის ქენჯნით იტანჯებოდეს. ამის გარდა, შეურაცხყოფილმა მეუღლემ დაბეჭდა განცხადება ოდესღაც საყვარელი ქმრის ფოტოსურათით ერთობ ორაზროვანი ტექსტით: დაიკარგა ძაღლი. ეხმაურება დაძახილს „სტივენ“. ძვეშ კი მინაწერი ბრალი ედება „სიხვატეში“.



◎ დარია თუ ავდარია

ამინდი 29 ივლისს

დასავლეთ საქართველოში – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22⁰ – +29⁰, ღამით +15⁰ – +19⁰.



აღმოსავლეთ საქართველოში – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22⁰ – +28⁰, ღამით +15⁰ – +20⁰.

თბილისში – მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +18⁰, დღისით +31⁰.

ბათუმი – ღ. +20⁰, დ. +26⁰; **სოხუმი** – ღ. +20⁰, დ. +29⁰; **ქუთაისი** – ღ. +20⁰, დ. +28⁰, **ოზურგეთი** – ღ. +18⁰, დ. +25⁰, **ზესტაფონი** – ღ. +21⁰, დ. +27⁰; **რუსთავი** – ღ. +18⁰, დ. +31⁰, **ფოთი** – ღ. +22⁰, დ. +32⁰; **მესტია** – ღ. +12⁰, დ. +18⁰; **სტეფანწმინდა** – ღ. +15⁰, დ. +19⁰; **თელავი** – ღ. +20⁰, დ. +31⁰; **გორი** – ღ. +20⁰, დ. +28⁰; **ახალციხე** – ღ. +15⁰ დ. +28⁰; **ბორჯომი** – ღ. +15⁰, დ. +27⁰; **ცხინვალი** – ღ. +16⁰, დ. +27⁰; **სამტრედია** – ღ. +22⁰, დ. +33⁰; **ზუგდიდი** – ღ. +20⁰, დ. +29⁰; **ჭიათურა** – ღ. +19⁰, დ. +31⁰.

◎ ლარის კურსი

29 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,2722 ლარი
აშშ დოლარი	1	1,7680 ლარი
ევრო	1	2,2310 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0657 ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1	1,9892ლარი.
სომხური დრამი	100	0,4235 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,5205 ლარი.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

„ქინ-მა-მა“ უცხოპლანეტელები

ბოლო პეპელაცი სასწაულებრივად შემორჩა მოსკოვში
საიდან გაჩნდა სიტყვა „პეპელაცი“?

რეჟისორ გია დანელიას თქმით, ეგზოტიკური ენა ძალიან იოლად მოიგონეს. აი, თუნდაც იგივე „პეპელაცი“. „პეპელა“ ქართული სიტყვაა, „პაცაკი“ კი კაციც არის, „პეცანიც“ და „კაცაპიც“ ერთად ალებული. „უცილოპი“ თუ უკულმა წავიკითხავთ პოლიციელია.

პეპელაცის გარეგნული იერ-სახე სცენარისტმა რეზო გაბრიაძემ და ფილმის რეჟისორმა გიორგი დანელიამ მოიგონეს: აწყობით კი, საფრენი აპარატი მხატვარმა თეიმურაზ ტეჭიკმა ააწყო. სულ სამი ასეთი აპარატი დამზადდა: ნატურალური სიდიდის, 1:12 მასშტაბის და სულ პატარა – საბავშვო სათამაშოს ტოლი.

ყველაზე დიდი, რომელშიც ფილმის გმირებს უნდა ეთამაშათ, მოსკოვში ერთ-ერთ თავდაცვით ქარხანაში დაამზადეს ნამდვილი გალისტიკური რაკეტის საწვავის გაკისგან. ზევიდან პოლიურეთანით გადახურეს და დამაჯერებლობისთვის სარჩილავით გამოწვეს – აპარატს ხომ ატმოსფეროს მკვრივი ფენები უნდა გაევლო. სწორედ მაშინ მოხდა უბედურება. პოლიურეთანი აალდა! ხანძარი ჩააქრეს, პეპელაცი კი სურათში ასეთი დაბლეხილი გამოვიდა. ჩვენი ინფორმაციით, ის თურქმენეთის უდაბნოში დატოვეს კარუსელის შანგიანი ბორბლის გვერდით. ყოველ შემთხვევაში მოსფილმისეულ საწყობებში უცხოპლანეტელთა ხომალდი არ ირიცხება.

ყველაზე პატარა ეგზემპლარი გადაეგების დამთავრებისთანავე გაქრა კინოსტუდიიდან. ვიღაცამ სახსოვრად ჩაიდო ჯიბეში. 1:12 მასშტაბიანი პეპელაცი კი ცნობილი მოსკოველი არქიტექტორის ალექსანდრ ველიკანოვის ანტრესოლზე აღმოჩნდა. სწორედ აქ ამოქექა ის კოსმიური და საჰაერო ნაოსნობის რელიქვიათა კოლექციონერმა ვიქტორ ტარანმა.

– ჩემი ეგზემპლარი ფირფიტრისაა, – გვიამბოს ვიქტორი. – ის ხომ უდაბნოში ძუის საშუალებით დაფრინავდა. შეხედეთ! დღემდე ყველაფერი მუშაობს!

ფრენისას პეპელაცს სახურავზე ანტენა თუ პროპელერი უტრიალებდა. ამისთვის კორპუსში რედუქტორითა და პატარა გატარეებით აღჭურვილს პატარა ელექტრომოტორი ჩაუყენებს. ნელა იხსნება ტრაპის შიგნით მოწყობილი პატარა სკამები ეკიპაჟისთვის.

1998 წელს კი მაღალი საზოგადოების საღამოზე შედგა ერთადერთი გადარჩენილი პეპელაცის შეხვედრა გიორგი დანელიასთან.

– დანელიას გული აუჩუყდა და მას ძალიან გაუკვირდა, რომ დანარჩენი ავარატები დაიკარგა. მე და პეპელაცი ერთად გადავილეთ სურათი. ეს ხომ ახლა ისტორიაა, – იხსენებს ვიქტორ ტარანი.

სიკვდილისგან ხსნა

ლონდონის ფროიდის მუზეუმში გაიხსნა სახელგანთქმული ამერიკელი მხატვარი ქალის ლორი ლიფთონის გამოფენა. მისი ნახატების ძირითადი სიუჟეტი სიკვდილია მთელი მრავალსახეობით – ტრადიციული ფოლკლორულიდან სიურეალისტურამდე.

მხატვრის მუშაობა გამოირჩევა ბრწყინვალე ტექნიკით, დეტალების გულმოდგინე გამოყვანით, საგნების, ადამიანებისა და ცხოველების ზუსტი და რეალისტური გამოსახვით. სიკვდილის ამ ტრიუმფში შეიგრძნობა სიმბოლური ქვეტექსტი, რომელიც ალბათ, დეტალების გულმოდგინე გამოყვანით, საგნების, ადამიანებისა და ცხოველების ზუსტი და რეალისტური გამოსახვით. სიკვდილის ამ ტრიუმფში შეიგრძნობა სიმბოლური ქვეტექსტი, რომელიც ალბათ, სასრულის ფროიდისეულ ინტერპრეტაციას გვახსენებს.

ლიფთონის სრულებით არ ჯაბავს თავის ძმნილებებს – სიცოცხლითა და იუმორით ავსებს და აცოცხლებს მისთვის უცხო ხილი. უნდა ვიზარაუდოთ, რომ საკუთარმა შემოქმედებამდე ლვანისთვის ფსიქოანალიზის როლი შეასრულა და სიკვდილისკენ სწრაფვისგან განთავისუფლებაში დაეხმარა.

დიადთა აღმბეჭდავი

88 წლის სახელგანთქმული ამერიკელი ფოტოგრაფი არნოლდ ნიუმენი ნიუ-იორკის ჰოსპიტალში გარდაიცვალა გულის უეცარი გაჩერებისგან. ის იქ რეაბილიტაციის კურსს გადიოდა ინსულტის შემდეგ.

მთელ მსოფლიოში მოგზაურმა ფოტოგრაფმა უკვე 1940-იან წლებში მოიხვეჭა ავტორიტეტი. ძირითადად ის ცნობილ პიროვნებებს – მსახიობებს, მხატვრებსა და პოლიტიკოსებს ულებდა ფოტოსურათებს, მის მოდელებს შორის შეხვდებოდით აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს რონალდ რეიგანს, მსახიობ მერილინ მონროსა და მხატვარ პაბლო პიკასოს.

ოსტატის ყველაზეთვალსაჩინოესი ნამუშევრებადმიიჩნევენ როიალთან მჯდარი იგორ სტავინსკისადა მსხვილი გერმანელი მრეწველის ალფრედ კრუპის პორტრეტებს (ეს უკანასკნელი საკუთარი ძარხნის ფონზეა გადაღებული.

ოპაიოს შტატის პროფესორი ძალის არდინ ნელსონის სიტყვებით, ნიუმენს „ეხერხებოდა ადამიანის გარემომცველი ვითარებისა და გუნებრივი განათების გამოყენება გადაღების ძირითადი ობიექტის რაც შეიძლება მომგებიანად წარმოსაჩენად“. თავის ნამუშევრებში ხელოვანს შეეძლო „დეტალების იმგვარი გამოკვეთა, რომ გიქმნიდათ პორტრეტზე გამოსახულ კაცთან ნაცნობობის შთაბეჭდილებას“.

◎ ინფორმაცია

ნარკოტიკული ნივთიერება ჩაუდეს?

შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა უწყების ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს. კუჩის დასახლებაში ჩატარებულ ოპერაციას ხმაური მოჰყვა.

ნარკოდანაშაულის ფაქტზე პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი ბორის ივანოვი დააკავეს.

როგორც ივანოვის მეზობლები ამტკიცებენ, მათ არასოდეს შეუმჩნევიათ ყოფილი მაღალჩინოსანი რაიმე სახის კანონდარღვევაში და ისინი მოწმენი არიან იმის, თუ როგორ ჩაუდეს ივანოვს დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერება.

ბორის ივანოვი თბილისის შს მთავარი სამმართველოს შოთა კვირაიას შს მინისტროდის დროს ხელმძღვანელობდა.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.